



ღია გიგიტაშვილი

ღიას სელობა

ზოდარი

(ჯინჯის უბანში)



ამ წიგნს კულტური უნივერსალია და უნებარეს იღია I-ს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს — მცხეთა-თბილისის მოვარდემისკობის და მიტროპოლიტს ბაქურნიონსა და ცხუმ-აფხაზეთისა



ლია გიგიტაშვილი

ილიას ხელოვნება

წმინდანთა შეგონებანი

და

სასიუვარულო ტრაგედიები

2020

ლია გიგიტაშვილი

ილიას ხელობა

წმინდანთა შეგონებანი და სასიუვარულო ტრაგედიები

ავტორი და მხატვარი ლია გიგიტაშვილი

დიზაინი და კომპიუტერული უზრუნველყოფა
ნანი მასურაშვილის

© ლია გიგიტაშვილი

ISBN 978-9941-8-2125-7

ძვირფასო მკითხველო, თქვენს წინაშეა ღია გიგიტაშვილის მორიგი ნიგნი, ილიას ხელობა.

შემოგთავაზებთ, რამდენიმე დიდი ქართველი მწერლის და ლუდრიას შეფასებას ღია გიგიტაშვილის პოეზიაზე.

მისი პოეზია არის უაღრესად ქალური და შესანიშნავი – ვალერიან მამუკელაშვილი.

ისეთი გამონათებები აქვს, რაზედაც ბევრ საქვეყნოდ ცნობილ პოეტს, მხოლოდ ოცნება თუ შეუძლია.

ლიას ლექსი ლექსზე მეტია – შოთა ქავთარაძე.

პოეტ ქალებს შორის, ღია გიგიტაშვილი ყველაზე ნიჭიერია – ილია ბარამიძე.

ეს მართლა პოეტი ყოფილაო – ლუდრია.

ავტორის ლექსის ნაწყვეტით ვამთავრებთ ამ წინათქმას:

ყანის ხოტბა თქვა არტისტმა,
ნიკალამ ხატა ფუნჯით,
ლექსებს ამბობდა პოეტი,
ლექსსაც უცემდა გული!

კაცმა ცეცხლს კოცნა დაღლამდე,
კოცნა გაღელილ გულში,
გინდა მომკალით ლექსშია
ხატონერა, ძველ ქართული.

წმინდა გიორგი-მელექსე
აფზახეთს მიდის რაშით,
გველეშაპსა კლავს შუბით
და ლახტით ცხრა თავს აჭრის!

ქართველთა მეფემ, ღვთის სიტყვამ
სრულად ოსეთის შვილმა,
თამარს ღვთისმშობლის სახატე;
კალთაში ჩაუნვინა.

ღმერთის ენაა ლაზარე,
ვეფხისტყავეია უფლის,
ღმერთო შემინდე ეს წიგნი,
იოლად რომ ვთქვი რთული.

იქნებ ისიც გაგიმხილოთ, რომ, სადაც ღია გიგიტაშვილი
(ღია შილდელი) შეეხო კალამს, ყველგან დაჭყეტილი ია ამოყელ-
ყელავდა.

ილიას ხელოვა

პროლოგი

ლოცვა დავითისი

უფალო ლოცვა მსურს
მე არ დავეცემი,
შენს გვერდით მარჯვენა
მხარეზე გედგები.
ჩემს მტერს სურს თვალები
ჩემი რომ დაბრმავდეს,
ყურში არ მესმოდეს
დავმუნჯდე, დავმდაბლდე!
მარჯვენა გამიხმეს,
ვერ ვნოო სულიცა!
გული არ მომდევდეს
პირისა კრულისა.
გამაგდონ, დამცინონ,
ლომითა დამახრჩონ
და მე არ შემიშვან
წმინდისა სასაყდროს;
ჭამონ ჩემი ლუკმა
და გაძლენ ღრენითა,
მუცელი აივსონ
ყალბისა ბერვითა.

დგას ილია ფუნჯის წინ, უზარმაზარია ფუნჯი, ღმერთივით — თვითონ კი პატარა, ჩიტვივით პატარაა. არა უფრო პატარა — ნამცეცივით, როგორ უნდა შეეჭიდოს ამხელას, ასეთი ციციქნა და ტირის თავის უსუსურობაზე, იმაზე რომ ვერ ხატავს, ვერ ქმნის, არ გამოსდის. მისი შექმნილები მახინჯები, უსწორმასწოროები და ტალახში აზელილები არიან. მწყრალად უყურებენ თხელზე თხელი ყოფიდან, თან ეხვენებიან ნაგვმალეო, არ გვიანდა ასეთი არსებობაო.

მოიკრიბა უკანასკნელი ძალა, აიღო ფუნჯი და ერთს, ყველაზე მშვენიერს, თავის ხატში, სულის ჩაბერვა დაუნყო. ხოლო თითქოს გამოუვიდა, გამოუვიდა!!!

და უცებ... ღმერთო ყოვლად დიდო, მიშველე!

— ინივლა ხატმა,

მომამორეთ ეს ღვთის რისხვა;

თვალიდან, მშვენიერი თვალიდან, საღებავის სქელმა სითხემ გამოჟონა, დაიდლაბნა. შეცბა მხატვარი, არადა სხვა რამის თქმა სურდა, უნდოდა გაეცოცხლებინა, აემოძრავებინა, თუმცა აკი ინივლა, მაგრამ ეს ხომ სიმახინჯის კვილი იყო. რამდენ ხანს ცდილობდა, იმ სილამაზის შექმნას, რასაც მიაღწია, რამდენ ხანს — ღმერთმა იცის. ერთი ხელის მოსმა და ყველაფერი ნყალში ჩაეყარა, საყვედურით უმზერს ამოთხრილი თვალის მეტყუაზე. აქამდე არც შეუმჩნევია თუ საყვედურის სული იდგა ამ ხელობაში. მხატვარი შეეცადა გამოეხსნორებინა შეცდომა, უფრო უარესი მიიღო, ამოთხრილი თვალის სიღრმე უფრო და უფრო გაიზარდა.

უნდა გაჩერდე, აიყვანე თავი ხელში, დაისვენე, მერე გააგრძელებ — ეხვეწებოდა მის ტვინში დაუკითხავად ჩასახლებული სრულყოფილება. იცოდა, რომ ეს მეორე მე, როგორც ყოველთვის მართალი იყო, მაგრამ არ შეეძლო თავი დაენებებინა ხატვისთვის, ასე ვერ მიატოვებდა მის ქმნილებას, ერთადერთს, მისი ფუნჯის ყველაზე ზეციურ მცველს. ტანში სტეხავდა, ყველა კუნთი სტკიოდა, საშინელ დაღლილობას გრძნობდა, მაინც ხატავდა, მესამე დღეა შეუსვენებლად ხატავდა, ჭერზე... სხეულში ყველა ნერვი უცახცახებდა.

აქამდე კაცი იყო, ახლა კი ერთ დაძაგრულ მყესად ქცეულიყო, რომელსაც ფუნჯი თავის ნებაზე აქეთ-იქით დააქანებდა, როგორც ბუმბულს. ამოთხრილი თვალის სიღრმე მატულობდა, უფრო და უფრო. ეს უკვე უფსკრული იყო და აი ფუნჯმა მეორე მხარეს გაიხედა. შეაჟრჟოლა ილიას, ახლა თვითონ იყვირა: არა!

ფეხქვეშ მინა ენძრა, უკან დაიხია, რომ უკეთ შეეხედა თავისი... ტურფასთვის და ჰაერში გაშეშდა.

მის უკან ხარაჩო აღარ იყო. იყო ჰაერი. მერე ერთხელ ამოტრიალდა მყესეულად ქუსლით მოეკიდა ძველი ხარაჩოს კიდეს,

ერთი ფეხის ქუსლით თავი შეიკავა მოკუნტულმა, ნელ-ნელა აინია, იპოვა საყრდენი, გასწორდა, რომ ჩამოვარდნილიყო დაილენებოდა, ძვალაც კი ეტკინა იმ ფეხის, რომლითაც დაეყრდნო, მიაშველა მეორე და დადგა. როგორც იქნა ჩამოვიდა, ერთიანად კანკალებდა ციებიანმა რომ იცის ისე, არა უფრო მეტად, წარმოუდგენლად, არაადამიანურად; ორი ნაბიჯი გადადგა და დაეცა, ისევ ადგა. თავი ვერ შეიკავა და ისევ დაეცა. თავს რეტი დაესხა. ყველაფერი ტრიალებდა, მერე ხოხვით მივიდა აბურდულ ქვეშაგებამდე. უკვე ეძინა, მაგრამ ხელები ჰქონდა დასაბანი, ხელები... ყველაფერი უღრმეს გათიშვაში, ძილში თუ რაღაც უარეს სიბნელეში, სიკვდილში თუ მის ტყუპისცალში, რაღაცაში, უგონობაში ჩაიძირა. უკუნი ჩამონვა.

ილიას ხელოვა

დიდხანს უყურებდა დედოფალი თავის თავს ტაძრის თაღებთან დარბაზში. ახლა გასაგები იყო, რამ ააღელვა მთელი სამეფო დიდებულება. კედლიდან სასწაულებრივად ლამაზი ქალი უყურებდა. ამაღელვებლად სრულქმნილ, თითქოს მარმარილოსგან გამოკვეთილ სხეულს, ძლივს უფარავდა გამჭვირვალე ნაჭერი და უფრო მეტად მინიერს და ხორციელს ხდიდა. ლბილი მზერა გულში უძვრებოდა მნახველს. თვალებში უზარმაზარი ვნება ჩანდა, რომელიც ისეთ სიღრმეს მოიცავდა, რომ მისი შემხედვარე კაცი, ასეთს, ადამიანებში ვერ ნახავდა. დიდზე დიდი იყო მხატვრის ოსტატობა, იმდენად დიდი, რომ სურვილს ვერ ერეოდა კაცი ხელით არ შეხებოდა; ქალებში კი მომაკვდინებელ შურს აღძრავდა. ახლა სასწაულიც ველარ გადაარჩენდა მხატვარს. აზრი ჩამოყალიბებული იყო: დედოფლის შეურაცხყოფა. ეს უწვერ-ულვამო ყმანვილი კაცი თავდახრილი ელოდა დედოფლის განაჩენს. რაკი ვერც ერთი სიტყვა ვერ გაიგო, თავი ასწია. მის წინ მეფე იდგა — შეუვალი, მკაცრი, გამოუცნობი. არაფრით არ გავდა, იმ ხატს, ბავშვობიდან რომ აღელვებდა. საშინელი ჭრიალით მიიხურა ტაძრის კარი. ილიას ხელები აეფარებინა სახეზე. მან ახლა სულ სხვა-

ნაირი დედოფალი დაინახა. ისეთი რომელიც არ აპატიებდა მისი საიდუმლოს გამხელას. მის ნახატს, არსებობის საფრთხე დაემუქრა. მხატვარი ფეხს არ იცვლიდა. მერე საიდანღაც მოძღვართუხუცესი გამოჩნდა. გვერდით ორი მლესავი ეყენა. კაცებმა ნახატის აფხეკა დაიწყეს. კედელი რომ განმინდეს თხელი პირი თეთრი კირი გადაუსვეს და საქმესაც მორჩნენ. ორი წელი ხატავდა ამ კედელს თვითონ. მის გარშემო ყველა მორჩა ხატვას, ის კი ვერა და ვერ რჩებოდა, რომ ეგონა დავამთავრე და ბოლო წერტილი დავსვიო ახალ-ახალი სიღრმეები ჩნდებოდა ქალის ყოველ ნაკვთში, ხაზში, ჩრდილში, ხასიათში. ამათ კი ერთ საათში დაამთავრეს თავიანთი ხელობა. მხატვარს თავში ზარის რეკვის ხმა მოესმა. ხმა ძლიერდებოდა, სადაცაა თავი გაუსკდებოდა. გრძნობდა ძარღვები როგორ ებერებოდა და ენით აუწერელ ტკივილს გრძნობდა. ალბათ ეს არის სიკვდილიო, ძლივს მოასწრო გაფიქრება და წაიქცა. ყველაფერს შავი კვართი ჩამოეფარა. მოძღვართუხუცესი თავს არ ანებებდა. მერე კი ყველაფერი დედოფლის თვალებივით, სიღრმეში ჩაიძირა.

ორი კვირა გავიდა ვიდრე სრულიად გამოჯანმრთელდებოდა. უქმეზე წყდებოდა მისი ყოფნის საკითხი. ბედმა აქაც უმუხთლა, სიმართლის ხმლის შეკრებას, იგი არ დაასწრეს, თავის მართლების ბოლო შესაძლებლობაც წაართვეს. ციხის ერთ პატარა სარდაფში, ყველა ულოცავდა გადარჩენას, თუმცა ვერაზინ ვერ ხვდებოდა, რას ნიშნავდა მისთვის თვალები.

— არა უშავს, რამდენი ბრმა დადის ქვეყანაზე, სამაგიეროდ, ცოცხალი იქნებო... ანუგეშებდნენ! – ცოცხალი იქნებო!..

აი დადგა სასჯელის აღსრულების დღე. ჯერ მეზარეს მოპარსეს უღვაშები.

დასჯის მერე ფოცხვერა პატარა ჩიტის გალიის მსგავს ოთახში შეაგდეს. კაცი კუტი პურივით მოიკუნტა და მოკუმშული მუშტებით ცდილობდა თვალიდან წამოსული თქემის შეკავებას. თან ფიქრობდა ისე როგორ მოვიკლა თავი, რომ ეშმაკის წისქვილზე არ დავასხა წყალიო. მოულოდნელად დედოფალი დაადგა თავზე. ქალმა დაუყვავა. ფოცხვერა მე მჯერა შენიო, მერე დიდი შრომისაგან დაკოჟრილი და დაძარღვული ცრემლიანი ხელები დაუკოცნა, საიდანღაც ოქროს ბეჭდები დააძრო. ბექა

ოპიზარის ინიციალით, ასეთი სახელმწიფოში მხოლოდ რამდენიმე კაცს ჰქონდა. ბ-სა და ო-ს ქვემოთ ეწერა ემზარი, რომელიც ნიშნავდა კაცისა და ზარის ერთიანობას, სხვა ბეჭედზე ეწერა ნუგზარი, რომელიც კაცისა და ზარის ღვთისკენ მიმავალ გზას ნიშნავდა. მესამეს ეწერა ზაირა, რომელიც ზარისა და გალობის ერთიანობას, ღვთის ხმას ნიშნავდა. სხვა ბეჭედებს აღარც შეხედა ფოცხვერამ. მკვირცხლად წამოხტა. ეს მინდაო! წამოიძახა აღტაცებით და ემზარის ბეჭედს დავლო ხელი: იცოდა დედოფალი ასეთი ბეჭედებით ისეთ ადამიანებს აჯილდოებდა, ვინც მთელი ცხოვრება ღმერთს მიუძღვნა. ამიერიდან მისთვის ყველა სახლის კარი ღია იყო. ყველა სუფრასთან წილი ჰქონდა და დედოფალთანაც თავისუფლად შეეძლო შესვლა. ეკლესია ხომ ასეთ ადამიანს აღმერთებდა. ერთი თვით ადრე, როცა დედოფალმა გაიგო ფოცხვერას დასჯას აპირებენო (ამ კაცზე და მის ჩამოსხმულ ზარის ხმაზე, ბავშვობიდან ზღაპრებს უყვებოდნენ) გადანყვიტა თვითონ შეემონმებინა ხმა მრუდე, „გაფუჭებული“ ზარი. ჩამოჰკრა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და გაოცდა — ზარი ადამიანის ხმაზე გოდებდა: თითქოს დედას შვილი მოუკლესო. თამარი მიხვდა ადამიანთა გონება ჯერ არ იყო მზად, რომ ასეთი დიდი ხელოვნება გაეგო. დაბრუნდა დიდი განცდებით, მაშინვე უნდოდა გაეუქმებინა ეს უკანონო გადანყვიტება, მოუხდა ლოდინი, სანამ გონიერები შეიკრიბებოდნენ. როცა დარბაზობას შევიდა, აღშფოთებული გონიერები შემოერტყნენ და პირდაპირ ეკლესიაში გააქანეს. ამ მოტაცებით გაოცებული თამარი, კიდევ უფრო გაოცდა, როცა მისი ხატის წინ აღმოჩნდა, პირისპირ. ამ ამბავმა გონება დაუბინდა, სხვა ყველაფერს, დავინყების ღრუბელი გადაეფარა, მისი გულჩვილი ქალური ბუნება მხოლოდ და მხოლოდ ილიას გადარჩენაზე ფიქრობდა. ამიტომ ფოცხვერას მკაცრი დასჯა (მასზე დასაცინი ლექსების შეთხზვა, რასაც მთელი ცხოვრება ვერ მოიშორებდა) მსუბუქით — უღვაშის გაპარსვით შეცვალა.

ფოცხვერამ თითზე ბეჭედი გაიკეთა, წელში გაიმართა, აღტაცებულმა ცეკვით რამდენჯერმე შემოუარა ოთახს კი არა ჩიტის ბუდეს, ხელები გამალა, კედლებს ხომ ეყოყლოჩინებოდა, მერე ჭერსაც მიაწვდინა თითის წვერები და ყელიდან თავისივე

შექმნილი ზარის მელოდია ამოუშვა. მისი ზარის ხმა, უდროოდ დაღუპული პატარების სულებს, ღმერთისკენ მიუძღვოდა.

იმ დღეს სასაცილო სასჯელებიც მოიხადეს დამნაშავეებმა, გამოიყვანეს ბატების მწყემსი მარიკა, რომელმაც ისეთ ადგილას მოაძოვა ბატებს ბალახი, რომ ლაფში ამოსვარა სუყველა. გოგონას პატრონი სომხეთის დესპანს მასპინძლობდა. ადრე ყუთლუ-არსლან მეჭურჭლეთუხუცესმა, აჯანყება მოუწყო თამარს. ისანში მან სამეფო ციხე დარბაზთან, კარავის გაშლა მოინადინა, რათა თვითონ და მის თანამოაზრეებს გადაეწყვიტათ საქვეყნო საქმეები: განეკარგათ სამეფოს ქონება და თავადვე დაესაჯათ დამნაშავეები. მათ მიაჩნდათ, რომ მეფეს უნდა ჩამორთმეოდა „პრივილეგიების“ მინიჭების უფლებაც (ესე იგი ადამიანის გააზნაურება, გათავადება თუ ჩამოიქვეითება, მათ ნება-სურვილზე უნდა ყოფილიყო დამოკიდებული). აგრეთვე, სახელმწიფო მოხელის დანიშვნაც. თამარმა აჯანყება ჩაახშო არსლანი და თანაშეფიცულები დაიჭირა. თამარს ამ დროს ბევრი ადამიანი განუდგა. ამიტომ მან ხალხის დასამოშმინებლად მონინალმდეგებს მოსალაპარაკებლად ორი საპატიო დედოფალი გაუგზავნა. ხვაშაქ ცოქალი და კრავაი ჯაყელი. მათი საზრიანობით და ტკბილმოუბრობით ქვეყანა დაპირისპირებასა და სისხლისღვრას გადაურჩა.

თამარმა მეჭურჭლეთუხუცესობა ჩამოართვა ყუთლუ არსლანს და მისცა კახაბერ ვარდანისძეს. ამაზეც გაბრაზებული არსლანი ცდილობდა ქვეყნის გარეთაც მოეძებნა მომხრეები, რათა დაკარგული საპატიო სახელწოდება დაებრუნებინა.

ჰოდა სომხეთის საპატიო სტუმარმა, არსლანის სახლთან ახლოს გორაზე ინება სადილობა, თან ბუნების სილამაზით დავტკბებით. მარიკამ კუპრივით შავი ბატები, მაშინ ჩაუტარა ცხვირწინ, როცა წარჩინებული მასპინძელი თონეში შემწვარ უგემრიელეს ბატს უმარჯვებდა თანამესუფრეს და თან ეტრახებოდა, ციური შუქივით გაბრწყინებული, მთვარის რძეში ნაბანავები და არარატის მთის მწვერვალივით სპეტაკი ბატები მყავსო. რა ეკუთვნოდა ასეთ თავის მომჭრელ და შემარცხვენელ მწყემსს.

— რა და ბურთი.

და აი, მარიკას ორი კარი დაუყენეს ნალკოტში. მისცეს პატარა ბურთი. თანაც ბატები ორ გუნდად გაყვეს... მწყემსს უნდა მოეხერხებინა, რომ თითო გუნდიდან, თითო ბურთი გასულიყო კარში. დაიწყო ბატბურთი.

მწყემსი რომ გაიქცეოდა კისერნაგრძელებული ბატები ყიყინით მისდევდნენ. მწყემსი რომ გაჩერდებოდა, თვითონაც ჩერდებოდნენ. ბურთს კი ვერ არტყამდნენ კარში. მწყემსს ხვითი გადასდიოდა. მის განამანიაზე, მთელი დიდებულები ხალისობდნენ. არაქათგამოცლილმა გოგონამ მოიფიქრა და თვითონ შევარდა კარში. ბატებიც მიყვნენ ფრთების თქარუნით, კარის წინ დადებული ბურთი ჰაერის ტალღამ კარში შეაგდო. სათევზაო ბადის უკან დიდი ქვეები ელაგა. კულულებიანმა კნაჭა მარიკამ, თავი ვერ შეიკავა ბადე გახია და ქვეებზე გაიტეხა ცხვირი, მუხლები გადაეყვლიფა, სახეც სისხლით შეეღება.

— ოჰ, საკმარისიაო! — შეწუხდა თამარი.

მის გარდა ყველა ხალისობდა, მხიარულობამ იმატა, საწყალ მარიკას ბატები ჩააფრინდნენ კაბაში (მათ დედილოს ხომ რალაც დაემართა) და ექაჩებოდნენ ადექიო. მწყემსს ათასგან დაკერებული კაბა გაეხა. შერცხვენილმა, დიდ ბატს თავში ჩაუთაქა. გოგონა მიხვდა, რომ ჯოგის უფროსი გამოიწვია და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოკურცხლა. გნისათ გაედევნენ ბატები. გამოუდგა წუთით გარიხებული მამალიც. მოედანზე სხვა ბურთიც გამოჩნდა. გოგონა მეორე კართან იდგა, მაგრამ რადროს ბურთი იყო, მეომარი ბატები ომის მოგებას აპირებდნენ.

თამარმა სამეფო კვერთხი გადაუგდო მარიკას. მთელმა თავად-აზნაურობამ უმალ მოსხლიტა სიცილი. ბავშვმა კვერთხი უთავაზა ომის სარდალს, მეორედაც მოუნაცვლა. სარდალი გამირულად დაეცა ბრძოლის ველზე. მარიკა სარდალის მოადგილე ბატს მიუბრუნდა დაცემული გმირის მენყვილეს და ზურგზე გადაარტყა აღმასებითა და უძვირფასესი თვლებით მორთული ბრჭყვიალა ჯოხი, ბატს კვერცხი გასძვრა. გვერდით მდგომი ბატი წაიქცა, ვერვინ გაიგო რატომ, ან გული წაუვიდა ან მოიტყუა მკვდარი ვარ მე არ დამარტყაო. ან ამ ახალ თამაშში ახალი წესი მოიგონა, ეგება მსაჯმა პენალტი დანიშნოსო.

ფრესკის ბენიალოზა თუ... სიმრუბე

პირველი ფეხბურთის მერე დასაჯეს მხატვარი, რომელმაც შეურაცხყო მეფე, უგულუბელყო კათოლიკოს-პატრიარქის სწავლებანი და გადაუხვია ხატოცნობის მართალ გზას.

ყველაფერი ასე მოხდა: დედოფალმა აიღო ცხელი შანთები მივიდა ილიასთან და ძალიან დამაჯერებლად უთხრა, რაც შეგიძლია ძლიერად დახუჭე თვალები, არ გეტკინებაო. ვილაცამ დაიძახა:

— დედოფალი წესს არღვევს, დამნაშავეს ელაპარაკება.

ბიჭმა დახუჭა თვალები. სხვა გზა არ ჰქონდა, ჯერ ერთი დაბმული იყო, მეორეც, დედოფალი უბრძანებდა და მესამე, რალაცით სწამდა, სჯეროდა, რომ მისი სათაყვანებელი თამარ მეფე, ნახატს ზუსტად წაიკითხავდა და ზიანს არ მიაყენებდა.

დედოფალმა მარჯვენა ხელის დამიზნებული მოძრაობით, ცხელი შანთი თვალის ძირში გაუყარა. შედეგი მიღწეული იყო — მხატვარს თვალის ქუთუთო და სანავე დაუზიანდა. ქუთუთო ისე გადმოუტრიალდა, თითქოს თვალის გბა ჰქონოდა დაზიანებული.

ყურებში მძიმედ ესმოდა ქალს. ილიას ხმა გულს უწურავდა. ახლა თითქოს ღვთისმშობელმა შეხედა დედოფალს და ზუსტი ადგილი დაანახა, მეორე თვალიც უშეცდომოდ დაუშანთა ქალმა. ნამდვილ ჯალათს უნდოდა გამოეცნო მთლიანად დაზიანდა თუ არა ორივე თვალი, ამიტომ ქვემოდან ცდილობდა შეეხედა მსხვერპლისთვის, მაგრამ ნაბიჯის გადადგმაც ვერ შეძლო, ქალის მოძრაობაში, მისთვის საშიში მუხტი დაინახა.

ილიას გული წაუვიდა. დედოფალს ტუჩები გაულურჯდა. იარაღი თავის ადგილას დადო, მკურნალებს ხელით ანიშნა დაჭრილს მიხედეთო და მოახლებთან ერთად, კაბის შარიშურით სწრაფად მოშორდა გონიერთა ხმალს, ისე რომ არც დამშვიდობებია.

გონიერთა უმეტესობა სინანულმა შეიპყრო; როცა ჭაბუკი, ულამაზესი ილია, ხელით გაიყვანეს მოსამსახურებმა, შიშმა დაუარა ყველას, ჩვენს ოჯახშიც არ შემოიხედოს ასეთმა სიავემო. ბევრმა ვერ უყურა დასჯას. ქალებმა საერთოდ გაარიდეს

თავი. ძალიან სისხლიანი იყო ის დღე წალკოტისთვის. გონიერებმა შენიშნეს, რომ თამარმა ყველა დასჯას უყურა, ერთი-ორგან გაეცინა კიდეც სასტიკ-დასჯაზე, არადა თავის უმწეობაზე იცინოდა მეფე, რომ აქამდე ბრმა იყო და ყრუ და არ შეეძლო წინ აღდგომოდა ამ საშინელ უზნეობას. იქ სადაც კაცებიც იცრემლებოდნენ, მხრებს იჩეჩავდა. ბოლოს კი სრულიად ყმანვილი (გათამამებული და არა დამნაშავე) კაცი საკუთარი ხელით სრული წყვიდადისთვის გაიმეტა, ყველა იმას აღნიშნავდა, ხელიც არ აკანკალებიაო დედოფალს და სიბრაზით მუშტებს იმტვრევდნენ. აღარავის არ ახსოვდა, რომ განაჩენი თვითონ გამოუტანეს ფრესკის დიდოსტატს. ეს ბევრი ადამიანის თვისებაა — საკუთარი დანაშაული სხვას გადააბრალოს.

მოდღვართუხუცესმა ნიკოლოზმა რომ დაინახა თავისი შეგირდის გადმოტრიალებული თვალები, ქალივით მოთქმა დაიწყო, მერე ურმების ქარავანზე დასვა ტკივილისაგან გაფითრებული დასჯილი. სული ყელში ჩაუბერა, ჩემს ჩამოსვლამდე მოუარეთო — იერუსალიმში მიმავალ მომლოცველებს. ამ ურემზე საქართველოდან დევნილი სხვა ხელოვანიც იჯდა, თუმცა ლექსების ჯღაბნა რა მოსატანი იყო მხატვრობასთან, ჯერ ხომ მას ვეფხისტყაოსანი არ ჰქონდა დანერილი. ვიდრე საქართველოდან გავიდოდნენ ილიას თვალის ჩინი დაუბრუნდა. მაშინ კი მიხვდა, რატომ მოინდომა დედოფალმა მისი დასჯა საკუთარი ხელებით, მერე იმასაც მიხვდა, ჩემი დაბრუნებით დედოფალს სიცრუეში გამოიჭერენო და ბედს შეურიგდა. როცა უკეთესად დაინახა და ჭრილობები მოუშუშდა, ყველა გააოცა მისი თვალების სიელვარემ. ერთ ღამეს ცეცხლი დაანთეს და შოთას სთხოვდნენ მომლოცველები ლექსი გვითხარო. კრიჭას ვერ ხსნიდა პოეტი. ვეფხისტყაოსანი უნდა დავენეო, უნებლიედ წამოსცდა შოთას.

თანმხლებმა პირმა თავისი ლექსი „მონადირე ვარ გლეხიო“ მოასმენინა სამშობლოდან განდევნილთ. ლექსის საშინლად მდაბიო ენამ ალტაცებაში მოიყვანა შოთა.

ლუკა ვარ ანაბელიო

ხმალი მაჩუქეს ჩეჩნისო
განთქმული თავის კვეთითო,
კავკასიონის მთის ძირში
ვიცი გამრავლდა ვეფხვიო.
თოფიც ხომ გადავიკიდე,
კიდევ დანა მაქვს მჭრელიო,
მთის ძირში ცხენით მივედი,
მერე ავყევი ფეხითო.
როგორა ცდილობს ეს მხეცი,
ჩვენში გაიდგას ფესვიო,
დათვი კაცზე არ ნადირობს,
არც ტურა და არც მგელიო!
ბავშვებსაც ვუშვებთ თამამად
ბუნება არას გვერჩისო.
ეს ვეფხვი რამ მოიყვანა
მწვერვალის ბოლო ქედშიო.
უკვე მრავალი ცოდვა აქვს
ირემის, ჯიხვის, შველისო,
(სოფელში ჯიქურ შედისო),
კაცს ტკბილი ხორცი ჰქონია,
გემო გაუგო კეთილსო.
დღე აღარ გავა უსისხლოდ,
კაცის ყვირილი გვესმისო,
სხვა ვერვინ შეებრძოლება
ვერც მეფე და ვერც მწყემსიო
მტაცებელსა (მტრულად მოსულს,)
ვცნობ სიავით
ბევრი მომიკლავს მხეციო,
ეზო და ყორე სავსე მაქვს,
სხვადასხვა ზომის ეშვითო.
ამას ვფიქრობდი უეცრად,
მესმის ხმაური ქვებისო,
გატრუნული ვარ, თვალს ვხუჭავ,

საიდან ისმის ხმებიო?!.
ვაიმე, ოთხივე მხრიდან,
ყურმა აილო გემიო,
უკან გაგბრუნდე? არა ღირს!
ვეფხვს რას გაასწრებ ფეხშიო,
მე ერთი ვეფხვი მეგონა,
თურმე ყოფილა მეტიო.
დავწევი ლოდზე გულაღმა
ქვა გადავაგდე გვერდშიო,
თოფი ვესროლე ჰაერში,
მუცელში მოხვდა კენჭიო.
ახლა სხვა მიტევს უკნიდან,
ის ხედავს, მე ვარ ბეციო,
ჩეჩნის ხმლით თავი მოვკვეთე,
გაგორდა, როგორც ნესვიო,
ერთად თავს ორი დამესხა,
ბრჭყალები მომწვდა ნელშიო,
ერთს ტყვია დავეც ხახაში,
მეორეს ხანჯლით შევხვდიო,
რა საშინელი ყოფილა,
ელდა მეტაკა მკერდშიო.
ხმალსა და ხანჯალს ვანაცვლებ
მაინც ყელს მომწვდა ეშვიო,
მერე დაჭრილიც მომვარდა,
ჟოლოს ფერი აქვს ბენვიო,
ალბათ აქ ჩაესვენება
ჩემი მზე, მთვარე ჩემიო,
არა ვნებდები, თვალს ვარტყამ,
დანა მაქვს ჩექმის ყელშიო.
ეშვას სამამრო მოვკვეთე,
გადამეშხლართა ხელშიო,
მერე ქალივით ვაკოცე,
ასე იციან ჩვენშიო.
ბოლომდე ჩაყე სუყველას,
მკვლელს არ დაინდობს მკვლელიო.

უკვე სისხლისგან ვიცლები
რა დროს ტყავია დედო,
ცხენზე ძლივს, ტანჯვით შევვჯექი
დავიბი ხელიც, ფეხიცო,
შილდაში ჩაველ ჩაქჩაქით
ახლა ხელახლა ვრჩებიო.
განა ვტრაბახობ ბიჭებო!
უბატონო ვარ, გლეხიო
თუ გინდათ მომებარენით
ლუკა ვარ ანაგელიო.

მეფე და იესოს ქალაქი

გიორგი მესამემ, თამარის მამამ გადაწყვიტა, თავისი ღმერთისთვის და მოციქულებისთვის ოქროს ქალაქი აეშენებინა, ღარიბი მოსახლეობიდან ხომ სულ ამოიღო რაც ებადათ, მდიდრებსაც მოსთხოვა ხაზინაში დაედოთ თავიანთი კუთვნილი ოქრო, ამას მიუმატა ლაშქრობებიდან წამოღებული ძვირფასი ლითონი, ვინც ნებით მისცა ოქრო მშვიდობით მოექცა. ვინც არა, და ძალით წაართვა კეთილშობილი ლითონი, ბოლოს იმდენი ოქრო მოუგროვდა ქალაქს კი არა მთელ სატახტეს ჩასვამდა ოქროში. განძსაცავები გაავსო უძვირფასესი ქვებითა და თვლებით, შეუფასებელი, თვალისმომჭრელი სხივოსნებით რომ გამოირჩეოდა. დაიწყო მშენებლობა. ქალაქი ისეთ ადგილას შენდებოდა, სადაც ჩიტიც ვერ შეფრინდებოდა. ტრიალ მინდორს გარშემო ხუთი მთა ეკრა. მთები კაცისთვის დაულაშქრავი იყო. ერთადერთი შესასვლელი კლდეში გაჭრილი გამოქვაბული იყო. იგი მღვიმეს უერთდებოდა; აქ შესული კი, თუ გზა ზედმინწვნით კარგად არ იცოდა, უკან ველარ ბრუნდებოდა. როცა ქალაქი ააგეს ცეცხლი რამდენჯერმე გაჩნდა. ამან იძულებული გახადა მნიგნობართუხუცესი ანტონ გნოლისთავისძე ხისა და აალებადი ყველანაირი ნაკეთობა აელებინებინა და შავი ბუნებრივი მარმარილოთი შეეცვალა. ფერთა შეხამება ყველანაირ ფანტაზიას აღემატებოდა; ამით ღმერთის ქალაქი მის მნახველს არასოდეს დაავინყდებოდა. ძალიან საშიში იყო თვით მართლმადიდებლო-

ბისთვის, ასეთი ქალაქის დაარსება, მაგრამ აუცილებელი და ერთადერთი, საქრისტიანოს და კაცობრიობის მომავლისთვის, ქალაქის ცენტრში აშენებული იყო იესოს ტაძარი. ქალაქის აშენება ელვის სისწრაფით მოხდა. მეფემ ყველა მხრიდან მოიწვია ოსტატები. უცხოელები თვალეზავეულები შეჰყავდათ სამუშაოდ. მათ შორის აღმოჩნდა იერუსალიმიდან მოწვეული ილია. კაცი არ ამხელდა რომ ქართველი იყო. მუნჯად ეჩვენებოდა ყველას. დაიწყო მოხატვა. დიდხანს ებრძოდა მის ტანში შემძვრალ, ეშმაკის მაცდუნებელ ფიქრს ილია, მაგრამ ვერაფერი გააწყო. ალბათ ჩემი ბედი ეს არისო თქვა და დახატა დედოფალი. მან მოიფიქრა დედოფლის ხატისთვის ხაზები არ გამოეკვეთა, ასე შექმნა მან მომაჯადოვებელი ხორციელი ქალის მშვენიერი სახე. მხატვრები ვერ ხვდებოდნენ რა გამოსახულება იყო მათ წინ. ბოლო დღეს გამოკვეთა დედოფლის უიმედოდ მოტრფიალემ, ქალის აღნაგობა, ისეთი ქალის, რომელიც სწყუროდა კაცს. რომელიც იყო ძალიან ადამიანური, ვნებით აღსავსე. სახეზეც იმ დღისით გამოიკვეთა იდუმალი სურვილები, მისმა ხატმა ნალეკა ყველაფერი თავის ქალურობით. ხოლო თვალეზავე, ამ თვალეზავეს შეეძლო ღმერთს შეჰაეჩერებოდა, სამოთხის ბალი, სამოთხის ვნებააო. ეს ფრესკა ვერ იტანდა დიდხანს მზერას, რადგან მნახველს კანკალი უვარდებოდა, ზოგს გონება ეკარგებოდა, ზოგიც სამუდამოდ ხდებოდა მისი ტყვე. ყველა მხატვარს შეეშინდა ილიას ოსტატობის, აღარ იცოდნენ სად დამლულიყვნენ, რომ დაეფართათ თავიანთი ნაცოდვილარი. ხორცი სულსაც ალამაზებდა. დადგა ტაძრის ჩაბარების დღე. დიდხანს ეძებეს ილია მხატვრებმა, ღვთისმსახურებმა, მერე კი მოხელეებმა, მაგრამ მის კვალსაც კი ვერ მიაგნეს. ვერავინ გაიგო ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ.

ჩაბარდა ტაძარი, საზეიმოდ გაიღო იესოს ტაძრის კარი და თავზარდაცემულ მეფე-დედოფალს ასევე თავზარდაცემული ქვეშევრდომები შეუერთდნენ. უფრო ბევრი ბრძოლა გადახდენოდა თამარ დედოფალს, ქვეყნის მთავარსარდალს, უფრო გამკაცრებულყო მისი მიხრა-მოხრა, გამოხედვა, მოთხოვნები და სახის მიმიკები. მან უმალ იცნო ხელი. გაახსენდა ის წელი, ღამეები რომ არ ეძინა, თავის თავს არწმუნებდა, იმიტომ ვერ ვიძინებ, რომ, არ ვიცი, გადავურჩინე თუ არა თვალეზავე, მხატ-

ვარსო. სინამდვილეში კი მისი სურვილით ვერ იძინებდა. ასე დახატვა, მხოლოდ შეყვარებულებს შეუძლიათ.

ვერ გაეგო დედოფალს, რატომ ებრძოდა მაშინდელი თავადობა, ყველაზე ნიჭიერ ადამიანებს. დალონდა, იცოდა მხატვრის ხელმეორე მცდელობა, კარგად არ დამთავრდებოდა. რადგან ნახატი უფრო სრულყოფილი იყო, იმედი ჰქონდა ვერ მიხვდებოდნენ მხატვრის ვინაობას.

რუს თანამეცხედრე მეფეს, თამარმა ურჩია: იქნება ეს ქალაქი ამ ნახატმა უკეთ დაიცვას, ვიდრე ამ მთებმაო. მეფე შეყოყმანდა, არ სურდა დედოფლის მშვენიერება მის საკუთრებას გასცდენოდა, მაგრამ მას უნდოდა ეფიქრათ, რომ ეს ქვეყანა თამარზე არანაკლებ უყვარდა. გონივრული ეჩვენა რჩევა, იმიტომ რომ ის უცხო იყო, აქაურობისთვის. კარგიო, დაეთანხმა და ადგილზე მოკვლის ბრძანება გააუქმა. ქალაქი სავსე იყო ხელოვნების სწორუპოვარი ნიმუშებით. ყველა ხელოვანს შეეძლო შემოსულიყო აქ და ემუშავა. მანამდე კი მას სულიერად და ფიზიკურად წვრთნიდნენ, რათა არსად არ გაეთქვა ოქროს ქალაქის არსებობა. მეფემ მეორე ბრძანება გასცა, ვინც მხატვარს იპოვის ბავშვს გავუნათლავო. ეს შეპირება დიდძალ ქონებას, მინებს, ყმებს, ყველანაირ სიკეთეს პირდებოდა მპოვნელს.

დაინყო ილიაზე ნადირობა.

სიკვდილით დასჯის გაუქმება იცოდა რუსი არ დაინდობდა

ოქროს ქალაქის აშენება დასრულდა. იმ წელს გამოიცა ახალი ბრძანება, სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ. ამის მიღწევას დედოფალი გონიერთა ხმალში 10 წლის განმავლობაში ცდილობდა, ჯერ კიდევ გორგი III-ის მეფობის დროს, შემდეგ როცა მამამისმა თანამესაყდრედ დანიშნა, გიორგი III-ის გელათში დაკრძალვის შემდეგ, ბოლოს კი რუსის შეუღლების შემდეგ, მაგრამ უშედეგოდ. იგი მიხვდა, რომ თუ პატარა „ემმაკობას“ არ მიმართავდა თავადებს და გონიერთა სხვა წოდების ადამიანებს, ამაზე ვერ დაიყოლიებდა. ამიტომ დედოფალმა გონიერები ხუთკაცთან ჯგუფებად დაყო. ხმა გავრცელდა, რომელიღაცა

ჯგუფის გაუქმებას აპირებსო. ერთი თვე შიშის ზარი სუფევდა. თუ ჭორი მართალი გამოდგებოდა არავინ აღარ იქნებოდა დაცული. არ იქნებოდა ხელშეუხებელი მათი ქონება, მათი ოჯახის წევრების სიცოცხლე და ა.შ. როცა ხელახლა იმსჯელებს სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ, ვერავინ ველარ გაბედა წასულიყო დედოფლის ნების წინააღმდეგ. მით უფრო, თამარის მეუღლე, მთავარი მოწინააღმდეგე სიკვდილის დასჯის გაუქმების, არ დაასწრეს მსჯელობას. სიკვდილით დასჯა გაუქმდა. იმ წელს, ოქროს ქალაქის არსებობის შესახებ ინფორმაცია, გონიერთა ჯგუფს არ გაცდენია. ის ვინც ვერ აჭერდა ენას კბილს, იქვე დაასახლეს, ხოლო გამონაკლისის სახით დატოვეს სიკვდილით დასჯა, მათთვის ვინც ოქროს ქალაქის არსებობას საქართველოს მტრობით, წინასწარგანზრახვით მისი იავარქმნის მიზნით გაამხელდა. იმ დროის ადამიანის განვითარების გათვალისწინებით, ამ გამონაკლისის დაშვება დედოფალს ძალიან გაუჭირდა, მაგრამ მაინც დაეთანხმა გონიერებს, ამ სასჯელზე, რადგან იცოდა, ერთ სიტყვსაც კი, რომელიც ოქროს ქალაქს შეეხებოდა შეიძლება ნაცარ-ტუტად ექცია მთელი სახელმწიფო. მხოლოდ მეფე-დედოფალს ჰქონდათ უფლება, ყველა თემაზე ელაპარაკათ, რაც თავში მოუვიდოდათ; გვირგვინოსნებს და მოძღვართუხუცესს.

თამარმა დაიწყო ფიქრი თანასწორობაზე; როგორც სიტყვის, ისე ქონების; გადანყვიტა ოქროს ქალაქის დაფარვის მიზნით თბილისი ოქროსფრად შეელება. მაცდუნებელი იყო წინადადება, ილიას თავის რჩენის სხვა საშუალება არ ჰქონდა. გაიმეტა თავი, ერთი თვე იმუშავა, მერე შავი ფარფლებიანი ქუდი იყიდა და თავზე ჩამოიცვა, ტანსაცმელიც შეიცვალა. იცოდა რუსი არ დაინდობდა, იმ ნახატს არ აპატიებდა, მაგრამ უკვე გვიანი იყო. თამარის ქმარმა გაიგო ილიას შესახებ და მონამლული საღებავი მიატანინა მისთვის თავის პირად მოჯამაგირეს. შემდგომში „მსახურთუხუცესმა“, ვარდენ დადიანმა, შეიტყო მომხდარის შესახებ და მეურნეებს საღებავი შეაცვლევინა, ერთი კასრი საღებავი კარგ საღებავშიც აღმოჩნდა. ასტკივდა თვალები ილიას, მაგრამ თავისი კუთვნილი სამუშაო მაინც შეასრულა. აღებული ფულით საღებავები და ხელსაწყოები იყიდა. სოფელში

ერთი მიტოვებული პატარა საყდარი იპოვა და მოხატვა დაიწყო. სასწაული მოახდინა მისმა მონდომებამ, ნიჭმა და შრომისმოყვარეობამ. ამჯერადაც გადაურჩა დაბრმავებას. როცა სამუშაოს მორჩა ილიამ ვარძიის ტაძარი მოხატა, ტაძარში ხატები სულ სხვა ხელწერას, სხვა ტექნიკას და ცოდნას გამოხატავდა, ვიდრე წინა მოხატულობები და ისევ დაემალა ავ თვალს. მზისგან გარუჯულ შავ სახეზე, გადაბმული ხშირი წარბების ქვეშ, მისი თვალები, ღამეში რომ ნადირის თვალები ანათებს, ისე ანათებდა. ძალიან თვალშისაცემი კაცი იყო, ღონეც ღომისა ჰქონდა, მაგრამ ქალთან ბარტყის ღუნღლზე უფრო რბილი მოფერება იცოდა. ჰოდა ხატვასაც, ასეთი ფაქიზი მოპყრობით ექცეოდა, თითქოს საყვარელ ქალს ქმნიდა არაფრისგან. თითქოს ჰაერს იქცევდა გრძელ ათრთოლებულ თითებში და ისე ეხვეწებოდა და ემუდარებოდა, რომ მხოლოდ ღვთის მორჩილი ჟანგბადი, ნებდებოდა და, მისი სურვილის ტაძრად ჩამოისხმებოდა ხოლმე.

ქრისტესისხლა

ილია ტყის ბილიკს მიუყვებოდა. ხელში ქრისტესისხლა ეჭირა, როდესაც სოფლიდან გამოდიოდა, გალავნის კედელზე შენიშნა ეს მცენარე და იქ მონყვიტა. ეს ყვავილი ყველაზე ხშირად დანგრეულ გალავნებსა და მიტოვებულ ნასახლარებზე ამოდიოდა. თითქოს ბოლო იმედი იყო იმისა, რომ ღმერთი არ ტოვებდა კაცს, მაშინაც კი, როცა ყველაფერი ნადგურდებოდა.

ბავშვობაში ილიას ეგონა ქრისტესისხლაში, მართლა ქრისტესისხლი დგასო. როცა გაიზარდა წარმოდგენა შეეცვალა, არა მართო ქრისტესისხლაზე, არამედ მთლიანად ცხოვრებაზე. ახლა კი მიხვდა, ბავშვობის დროინდელი გულწრფელი შთაბეჭდილებები, რომელსაც ის და თავისი ამხანაგები ერთად აგნებდნენ ხოლმე, უფრო უტყუარი იყო, ვიდრე ზრდასრულობისა.

გზაზე მიმავალ მხატვარს გაახსენდა მოყმის ტირილი, ჩემი პოემა „ვინმე მესხი“ დაწვეს, თითქოს ეკლესიას ვაყენებდი ზიანს, რაღად მინდა თავი ცოცხალიო. მერე როცა უბატონო ქიზიყელის ლუკას ლექსი მოისმინა, გადაეხვია პოეტი მთქმელს და უთხრა: ახლა მივხვდი ჩემს ახალ წიგნს, ვეფხისტყაოსანს,

რას დავარქმევო... (აქ იგულისხმება შინაარსი). გონებაში ყველაფერი დავალაგე. ფსევდო მელექსეს კი ვერ ვარჩევდი, რადგან ყველა სიტყვა, რაც საეროს სახელმწიფოს მარგალიტად ითვლება, ჩემი პოეტური ქმნილებისთვის ღარიბ ქვად მეჩვენებოდაო. თამარი ხომ ლომის ქურქში გახვეული მშვენიერი დიაცია, ჩემი მისდამი ხოტბა კი ვეფხვის ტყავში გაეხვევაო. მაშინ ილიას გადაჭარბებულად მოეჩვენა ჭაბუკის აღტკინება, მით უფრო რომ ამ უღვთოდ შეყვარებულ პოეტს სამიჯნურო პოეზიის გამო საქართველოს დატოვება მოუხდა. მისი ყველა ხელნაწერი წიგნი დანვეს და სხვა სავარჯიშო რითმებისა და შაირების ნამუშევრებიც მიაყოლეს. ასე რომ ძლიერ ხელმოცარული ჩანდა იმ დროისათვის შოთა.

იქნებ ღმერთის ყველაზე დიდი ნახატი ლექსიაო, გაიფიქრა ილიამ და ამის გაფიქრებაზე თითქოს გული გაუჩერდა. ვეღარ ამოისუნთქა. არ გიღალატებთო, ეხვეწებოდა თავის შექმნილ გამოუცნობ ქმნილებებს, მაგრამ მის სულში ჩამძვრალი საოცარი მსჯავრი, გულს ხელს არ უშვებდა — უჭერდა და უჭერდა, ბოლოს ძირს დავარდა ილია, ბედად ნაკადულთან ახლოს აღმოჩნდა. თავი ჩაყო წყალში. იმდენი წყალი დალია, ვიდრე გულთან სიცივის ტალღამ არ გადაუარა. ჰოდა მსჯავრმდებელმა კლანჭები გაუშვა. ილიამ ამოისუნთქა, ეს რა უბედურება ყოფილა მუზასთან ყიდილიო, გაუკვირდა ობლადქმნილ ილიას.

გზა გააგრძელა. ლამდებოდა. ბოლის სუნი იგრძნო და იქით აიღო გეზი. ხედავს ბილიკი კარგად შეუნიღბავთ ადამიანებს, მიზეზიც იგუმანა. ნადირის შეჭრისაგან ასე დაულწევია თავი ტყეებს შორის მოქცეულ ერთ მშვენიერ სოფელსო.

ილია პირველივე შემხვედრ გლეხკაცს გამოელაპარაკა — ღამე გამათევინე და დამაპურეო.

კაცმა ალაღად გაულო სახლის კარი. მერე რომ გაიგო ომიანობა დამთავრდაო, სახეზე იარაც გაუქრა.

— ჩვენთან ომაც ვერ შემოაღწია, ხომ ნახე გზა გავაუქმეთო, — წაიტრაბახა მასპინძელმა.

— ვინ იცის, რამდენი კაცი შეჭამა მგელმა და დათვმა ამ გზის გაუქმებითო, — უსაყვედურა ილიამ.

სამაგიეროდ მტერმაც ვერ მოგვაგნოო.

დიდ ქირს პატარა ქირი ვამჯობინეთო, – არ დაეთანხმა მრავალქირნახული გლეხი.

მეფეს გამოუცხადებია, მანამდე გაგრძელდეს ვეფხვებზე ნადირობა, ვიდრე ერთი ვეფხვიც დარჩებო. მართალია ბატონოვო, კითხა გლეხმა.

— ხო, ეგ მეც გავიგეო, — უპასუხა ილიამ. ძალიან გამრავლდნენ ვეფხვები. ძალიან საშიში გახდა ტყე-ღრეში სიარულიო.

— მე კი გავიგე, ვილაც კაცს ლექსი დაუნერია, მეფეს არ მოსწონებია, რადგან ლექსში პოეტი დედოფალს, როგორც მის სწორს ისე უტყუებოდა სიყვარულშიო. იმ კაცს ილია ჰქვია და მის მპოვნელს მეფე ნათლიმამობას ჰპირდებო.

ილია თითქოს ცეცხლმოკიდებულ ყანაში ჩააგდეს. მეტად საშიში იყო მისი აქ გაჩერება, თუნდაც ერთი ღამით. ქორი და მართალი ერთმანეთში იყო არეული, მაგრამ აზრი, მაინც ერთი იყო, ლექსშიც თამარს შესტროფოდნენ და ნახატშიც. ქმრები კი ასეთ სითაცხედეს არავის პატიობენ, მით უმეტეს, თუ ქმარი მთელი საქართველოს მეფეა და საქართველოს სიყვარულის არა გაეგება რა. არ იცის მიტევება, არ უნდა ხატთშექმნა, წარმოდგენა არა აქვს ანბანზე და წიგნზე, ხოლო მისი მეფობაც და ქმრობაც ანგარებაზეა აგებული.

ილიამ გადაწყვიტა აფხაზეთში გადასულიყო ზღვის პირას. იქ შეხვდა სამეფო კართან დაახლოებულ შოთას, რომელმაც იცოდა რუსის ჩამოყვანის მთელი ისტორია. თამარის ძალით გათხოვებისა მამიდამისის და თავად-აზნაურთა მხრიდან. თურმე ანდრია ბოგოლუბსკის ვაჟი — იური ანდრიას ძე დევნილი ბიძამისის მიერ, სასურველი სასიძო აღმოჩნდა, ვისაც უნდა ჩაებარებინა საქართველოსა და თამარის ბედი. არავინ იცოდა ყივჩაღებში გადახვენილ უფლისწულს, რა დადებითი როლი უნდა შეესრულებინა, საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისათვის, მან ხომ თავისი ადგილის დაბრუნებაც ვერ შეძლო სახელმწიფოში. ამ მოლაპარაკებაში, ვაჭრებმა გადამწყვეტი როლი შეასრულეს (ამიტომაც შესაფერისად შეამკო შოთამ, ეს წრე პოემაში მიუხედავად მათი დიდი გავლენისა). ისინი ჩავიდნენ ქალაქ სვინჯში უმდიდრესი ვაჭრის ზანქან ზორობა-

ბელის მეთაურობით. ეს ქორწინება ხელს აძლევდა აგრეთვე ქართლის ამირას, დიდ თავადს, აბულ-ასანისას.

ქართველებმა საუკეთესო სახელები შესთავაზეს მეფეს, ქართული კეთილზმონობის შესატყვისად. მაგრამ იურის სურდა მესიის მახვილის ტიტულის მიღება. ამ ტიტულს ქართველი მეფეები მართლაც დიდი მოწინებით, პასუხისმგებლობით და ღვთის ბოძებით ატარებდნენ. საფიქრალში ჩავარდა მაღალი სამღვდელოება. ერთის მხრივ მათ სურდათ რუსისთვის ამ სურვილის დაკმაყოფილება და მეორე მხრივ უჭირდათ, რადგან მრავალი ცუდი ზნე, უნიღნურობა, ლოთობა და სტუმრის უპატივცემულობა მოსვლის დღიდანვე გამოამჟღავნა ამ ულამაზესმა და ფიზიკურად მოსულმა გოლიათური ძალისა და შესახედობის კაცმა. ამიტომ თამარმა მას სარეცელი არ გაუყო. რუსმა დეეკაცმა მთელი თავისი ენერგია და მამაკაცური ძალა ომებში გამოამჟღავნა; მან და თამარმა გაილაშქრეს დვინის ქვეყანაში, გელაქუნისაში და ბოლოს მასისამდის, არარატამდის (გელაქუნი).

სასახლეში ჭორი გავრცელდა, რომ იური ავინროებდა თამარის დას, გიორგი III-ის უკანონო შვილს, რომელიც ხარჭისგან ეყოლა. როდესაც თამარმა ამაზე პასუხი მოსთხოვა იურიმ უპასუხა, რომ ეს სიცრუე იყო, რადგან მას ქალები არ მოსწონდა. გაოგნებულ თამარს ცრემლები მოსძალებია. თუ მართლა მოსწონდა მისი და მის ქმარს, გამოდიოდა რომ უზნეო იყო. ხოლო თუ იცრუა მამათმავალი ვარო, ესე იგი უტვინო (თამარმა იცოდა ენები, იყო განსწავლული, ზნეობრივი, კეთილშობილი და ლმობიერი, შემკული სილამაზით და ღვთის ხელით დასმული). არსებობს სხვა მოსაზრებაც: რუსმა ძალიან ცუდად იცოდა ქართული და ნათქვამი ცუდად გამოუვიდაო.

ამ ამბავს მოყვა კიდევ საქართველოს სამეფო კარზე, მისი მეფობის დასასრული. იგი დიდი პატივით განდევნეს. „სამეფო ხმალს“, ანუ დარბაზს ასეთი სამართლიანი გადანყევტილება დამამცირებელი ჟესტით დაუმძიმებია, რადგან მისთვის, როგორც პატარძლისთვის, აურაცხელი სიმდიდრე და საჭურჭელი უჩუქებია და ასეთი გამზითვით დაულოციათ გზა კონსტანტინეპოლისკენ მიმავალ გზაზე. მაგრამ ამით რუსი შეურაცხყოფილი კი არა ბედნიერი გამხდარა. – მთელი ქალაქი აქვთ

ოქროთი აშენებული, არაფერი დააკლდებათ ჩემი დასაჩუქრებითო. თამარის მრწამსი კი, სულიერ ფასეულობებს აღიარებდა.

ილიას გაუხარდა რუსის გაძევება. მთავარი მეტოქე, ვინც თამართან ურთიერთობისთვის გადაულახავი წინააღმდეგობა იყო, აღარ არსებობდა. მას ახლა შეეძლო ებრძოლა მისი გულისთვის. ნოდება და სიმდიდრე მაშინ ჩამოართვეს, როცა თამარი შიშვლად დახატა, მაგრამ თავი მაინც თამარის შესაფერისად მიაჩნდა, რადგან ის ფლობდა ყველაზე დიდ ნიჭს, რასაც ქრისტიანობა და მართლმადიდებლობა ცნობდა.

მან იცოდა, რომ შოთასაც ფარულად უყვარდა თამარი, მაგრამ ილიას აღმატებული ეგონა ხატობა.

ამიტომ პირველივე შემოთავაზებაზე აღფრთოვანებით შეხვდა დიდი ღვთისმშობლის ეკლესიის მოხატვას. დაიწყო უთანასწორო ბრძოლა მასა და ერთი კაცისთვის უჩვეულოდ დიდი ტაძრისა. რამდენიც არ ურჩია მოძღვართუხუცესმა იმდენი უარყო სხვათა დახმარება.

ილიას სიკვდილი

ილიამ ეკლესიის მოხატვა დაამთავრა. მთელი სული და გული ჩადო შიგ. კაცი ლანდსლა ჰგავდა. გახდა. ყბა ყბაში გაეყარა, ცარიელი თვალებიღა დარჩა. დაიმშა, მაგრამ ჭამაზე დროს არ ხარჯავდა. გამთენიისას რომ დაიწყებდა ხატვას შუალამისას ასრულებდა, ღამით დახატული თუ არ მოეწონებოდა მეორე დღეს ხელახლა ხატავდა. სანთლების შუქზე მუშაობდა. არ შეეძლო მხოლოდ დღის სინათლით ესარგებლა, ერთიანად იწვოდა მისი სხეული ულამაზესი მუზის დაჭერის მცდელობით. იმ დღეს როდესაც მისი მოხატულის შესაფასებლად მოვიდნენ ხელოვნების შემფასებლები, სხვა ტაძრიდან მოდიოდნენ, სიტყვის ტაძრიდან. გაოცდა მხატვარი, როცა მის ნახატებს იმაზე გულცივი სახეებით შეხედეს, ვიდრე აქამდე უყურებდნენ ხოლმე. გაუკვირდა ილიას, ძალიან გაუკვირდა ეს ნახატები, ხომ წინებს დიდად ჯობდა. რა იცოდა მხატვარმა რომ პოემის ნაკითხვის შემდეგ დიდებულებმა, დიდებული თავდაჭერა ისწავლეს. ამღვრეული და დაპატარავებული მხატვარი, ეკლესი-

იდან ძლივს გამოვიდა. იგი მკვდარი იყო. ისეთივე მკვდარი, როგორც მისი ფრესკები. გალავანზე ვეფხვის ტყავი დაეჭოვებინა ვილაცას, ალბათ დიდი მოწონების ნიშნად. ამან უფრო გააგიჟა ილია. თავი ვერ შეიკავა და ვეფხვის ტყავის დახევა დაიწყო, მერე გალავანს გადაახტა და ტყეში შევარდა, მისთვის ახლა სულერთი იყო ვეფხვი შეჭამდა თუ მგელი, უნიჭო იყო არაფრის მაქნისი. მის მოხატულ ეკლესიაში კი ამ დროს თვით მამა ღმერთი იყო შესული გლეხის სამოსით და დახატული შედევრების თვალიერებით ტკბებოდა. სხვა დამთვალიერებლებს შორის იყო ის მელექსეც და უკვირდა — ნუთუ ეს ადამიანმა დახატაო. ეკლესია შიგნიდანაც ისეთივე მაღალი იყო, როგორც გარედან. ქართულ სულიერებას ის ეპოვნა, რასაც საუკუნეები ეძებდა — საკუთარი გზა და მოწოდება მთელ სამყაროში. გზა ღვთისკენ მიმავალი ჭეშმარიტი ხელოვნების მეოხებით. ეკლესიის მთავარ კედელზე საკურთხევლის თავზე, მამა ღმერთი იყო გამოსახული. გვერდით სულიწმინდა და ძე ღვთისა ეყენა. ერთმანეთის თანამიმდევრობით იშლებოდა ქრისტიანების მაძიებლური და საათმცნებო გზა, ამ უკიდევანო ქვეყანაში, უსასრულო სამყაროში. ღმერთის მსგავსებაში ებრძოდა ადამიანური სილატაკე და სულიერი სიმდიდრე, მხატვრის მტირალ თვალს, ხელის კანკალით დაეხატა სხეულის გამარჯვება გონზე და ის უდიდესი შეცოდება, იგივე შეწყალება (რომელიც ხშირად ცოდვაში ერევათ) რასაც გვიბრუნებს ღმერთი ჩვენი სულმოკლეობის მიუხედავად. ილიას თითებს კანკალი დაეწყებოდა ხოლმე როცა დიდ ნახატს ხატავდა, არ შეეძლო ამოსუნთქვაც კი, სანამ ნახატს დაასრულებდა. მერე კი შიშით უსწორებდა თვალს უმეტესწილად კედლის „ჯალათებს“, რომლებსაც მისი დიდი გულის დაჩეხვა, წამებში შეეძლოთ, მხოლოდ ღმერთის დახატვის დროს განიცდიდა დიდ და შეუდარებელ სიამოვნებას.

ათი დღე დაეხტებოდა ტყეში ილია. ეკალბარდებმა ტანსაცმელი დაუხიეს, მგლებმა მისი შეჭმა სცადეს, რალაც დიდი ძალა უშლიდა ხელს, სიცოცხლე ასე დაესრულებინა. ტყეში ნადირივით მოძუნძულეს, შერცხვენილს და თავლაფდასხმულს, ასე ფიქრობდა თვითონ, ქვევით კი ბარში უდიდეს პოეტს მთელი საქართველო უჩოქებდა. მათ შორის დედოფალიც.

დაბრუნდა ილია, მის სახეზე კალთააკრეფილ მუზას, დიდი დალი დაესვა. ისეთი ომში ხმლის ნაკვალევი რომ ტოვებს ხოლმე. არ ახსოვდა ასეთი ღრმა ჭრილობა სად მიიღო. იქნებ ვეფხვსაც ეომა. არაფერი არ ახსოვდა ის ხომ მკვდარი იყო.

ხო არაფერია, მაგრამ ლუკმა პურისთვის ბრძოლა უწევდა, თავშესაფრისთვის ბრძოლა უწევდა, რომ ეცოცხლა ბრძოლა უწევდა... და ეს არ მთავრდებოდა და ეს... ღვთისმშობლის წილ ქვეყანაში, პურის და ვაზის ქვეყანაში, ღმერთის ქვეყანაში, საქართველოში!

ქალების ომი ჭრელკაბიანები

დედოფალს ცუდი ამბავი მოუტანეს. სენაკებში და ციხეებში ადგილი აღარ დარჩა, მათი უმეტესობა კი ქალი იყო. გაოცდა დედოფალი. ვერასოდეს ვერ იფიქრებდა ამდენ დანაშაულს თუ ფარავდნენ ქალები, არც მათ მიერ ჩადენილი ცოდვები იყო საპატიო. ახლა, როცა, ქვეყანას დიდი უბედურება დაატყდა, ყველაფერი ისეთი ნათელი იყო, თითქოს ხელისგულზე გადაშლოდა დედოფალს თავის ქვეშევრდომების ცხოვრება. ქალმა დიდხანს იფიქრა, უხუცესები მოინვია, საერო და სასულიერო პირები დააპირისპირა, მაგრამ გამოსავალს ვერ მიაგნო. ქვეყანას ზედმეტ ტვირთად დაანვა დამნაშავეების შენახვა, მათი დაუსჯელად გამოშვებაც დანაშაულად ითვლებოდა. ადგა ქალი, თავის თვალით ნახა ყველაფერი, დაელაპარაკა და გული გადაუშალა შეპყრობილებს. ამ დიაცების უმეტესობა ისეთი კარგი ადამიანი აღმოჩნდა, დედოფალმა იხანა კიდევ მათი დაახლოება. ახლა უფრო გაუჭირდებოდა მკაცრი გადანყვეტილების მიღება. ერთ დღესაც შიკრიკი მოვიდა — საქართველოს საზღვარს აღმოსავლეთ თურქეთის ლაშქარი მოადგა ირანის მმართველის აბე ბაქრის მეთაურობით. დედოფალს თავში ბრწყინვალე აზრი მოუვიდა. დრო ცოტა იყო მაგრამ არც ისეთი ცოტა რომ ერთად თავმოყრილი ადამიანებისთვის ვერ ჩაეცმია და იარაღი ვერ დაერიგებინა. შეიქმნა ქალთა საომარი სპა მეფე დავითისგან დაფარვით — ჭრელკაბიანები. მასში ოცი ათასი ქალი შედიოდა. ზოგი დამ-

ნაშავე, ზოგიც კი მოხალისე. ქალებმა სიხარულით მიიღეს ეს წინადადება, მით უმეტეს, მათი მთავარსარდალი თავად დედოფალი იყო. მტერს ყურმოკვრით გაეგო მოემარი ქალების არსებობის შესახებ, მაგრამ არ სჯეროდა, როცა პირისპირ შეხვდნენ ჭრელკაბიანებს, რომლებსაც წინ დედოფალი მოუძღვოდათ, მამაკაცები თურმე ერთ ადგილზე გაქვავდნენ. მაშინ ქართველი ქალები ძალიან გრძელ თმებს ატარებდნენ. თანაც ეს 15-16 წლის ქალწულები (მათი დანაშაული კი იყო კოცნა, შეხედვა, შეხება...) ულამაზეს ქალებად ითვლებოდნენ მთელ მსოფლიოში. წინ დედოფალი მიუძღოდათ ისეთი სიტურფის ადამიანი, ვის გამოც, ბევრი ომი გადაიტანა ქვეყანამ და სხვა და სხვა მეფის კარზე მგოსნები და მომღერლები მის მშვენიერებას უმღეროდნენ. აღმოსავლელი კაცები პირბადრი და ჭრელ-ჭრულ კაბიანი ქალებით მოიხიზლნენ. ძნელი იყო მათი დახოცვა. ისინი მეომრებს არ გავდნენ, უფრო საარშოიოდ გამოსულებს ჩამოგავდნენ. მართალია კაცებმა ხმლები ძირს დაუშვეს, მაგრამ ქალები, რომლებიც რძეში ნაბანავებ მზეს გავდნენ, ასე არ მოქცეულან. როცა კაცების პირველი მწკრივი დაბნეულობის მსხვერპლი გახდა, გონზე მაშინლა მოვიდნენ მუსულმანები. დაიწყო უმაგალითოდ უთანასწორო ომი. მალე ქალებს მცირერიცხოვანი ქართველი კაცები შეუერთდნენ. როგორც იქნა მიაღწიეს დედოფლამდე, რომელიც ათიოდე ღონიერი დიაცის გვერდით, მამაკაცივით თავდაუზოგავად იბრძოდა. მას ხელში დიდი და მძიმე ხმალი ეჭირა, ისეთი რომლის ხმარება კაცსაც გაუჭირდებოდა და თავშალივით მსუბუქად ატრიალებდა. ეტყობოდა წვრთნა და საომარი ხელოვნება ბავშვობიდან ჰქონდა გავლილი. მერე მამაკაცთა დიდმა ჯგუფმაც, შალვას მეთაურობით ორ ნაწილად გაყო მტრის მეომრები და დედოფლამდე მიაღწია. ჭრელკაბიანებს მტრის ერთიანობა გაერღვიათ. როცა რომელიმე მუსულმანი ხმალს აწევდა თვალთ კაცს არჩევდა, რომ დაერტყა და ძვირფას დროს კარგავდა, ქალი კი პირდაპირ მიდიოდა დასარტყმელად. თამარის მონდომებას და სწავლებას ტყუილად არ ჩაეგლო. იმ დროს ქართველთა ჭრელკაბიანმა ჯარმა, მუსულმანთა მრავალრიცხოვან დაკომპლექსებულ შეიარაღებულ ჯარს აჯობა. მალე მტერი უკუიქცა. დიდხანს სდიეს კვალდაკვალ ქა-

ლებმა თანასწორად კაცებს. ცოცხალი ძალა მთლიანად გაანადგურეს. მხოლოდ მეთაურებმა და ერთმა ჯგუფმა შეძლეს ამ ქვეყნიდან გაქცევა. სხვა დეტალები და საომარი სტრატეგია შამქორის ომის ისტორიულ წყაროებშია ასახული.

ცნობილია თამარის მიმართვა ლაშქრისთვის: „ძმანო ჩემნო, ყოვლად ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუენნი სიმრავლისა მათისათვის და სიმცირისა თქუენისა, რამეთუ ღმერთი ჩუენ თანა არს!

ამის მერე დავითს, არც უფიქრია, რომ თამარი ღამით მასთან შეუთანხმებლად მეომარი ქალებით დაიწყებდა ბრძოლას.

შუალამისას საომარ ველზე საოცარი სურათი გადაიშალა. მამაკაცების გვერდით ქალები კვნესოდნენ. მათი ხმა, ყველაზე გულქვა ადამიანს ააღელვებდა. ეს საოცარი გოდება მამაკაცის ბანს საოცრად ერწყმოდა. ყური მიუჩვეველი იყო ასეთ ტირილს, ვერავინ იტყოდა შეცდომილები არიანო. უამრავი ქალი დაღუპულიყო, მათი დიაცური ჩაცმულობა, შეუსაბამოდ ყვიროდა ამ საზარელ სასაკლაოზე, ხოლო კაცთა ძირითადმა არმიამ, გამთენიისას დაიწყო ბრძოლა. ამ დროისთვის დედოფალიც დაჭრილიყო. თეთრი კაბა ეცვა, მაგრამ ყაყაჩოსფრად შეღებოდა სისხლით და მინით კაბის კალთები. უნებლიედ მისი მდიდრული კაბაც ჭრელ კაბას დამსგავსებოდა. მთელმა დიდებულმა მხილებელმა ქალებმა უსიტყვოდ დაიწყეს გლოვა. მეორე დღეს ერთდროულად ჩამოკრეს ზარები. ჭრელკაბიანები იმ მინდორზევე დაკრძალეს, რომელსაც „დედის მინდორი“ დაარქვეს. ვინც ცოცხალი გადარჩა ყველა უდანაშაულოდ ცნეს და სახლში გაუშვეს. ამ ბრძოლით საქართველოს შემადგენლობაში შევიდა განძა, ანისი, კარი.

დედოფალი დაღონებული იყო. მან ამდენი ქალის სიკვდილი საკუთარ ცოდვად აღიარა. მისთვის ფასი აღარ ჰქონდა გამარჯვებას. სხვა შემთხვევაში ქვეყანას იქნებ ვერც გაემარჯვა, მაგრამ ძალიან დიდი იყო უმწეოთა სასაფლაო. ამიტომ დედოფალმა გამარჯვებას დაცემის დღე უწოდა. ასე დაუშვა მეფე დედოფალმა გამოუსწორებელი შეცდომა და სამარხვოდ წავიდა უდაბნოში. მხოლოდ პურსა და წყალს იღებდა. ასე გაძლო მან ორმოცი დღე, ვითარცა იესომ.

ამ დროს კი მისი ნამდვილი მეუღლე დავითი, მოთმინებით ელოდა მის დაბრუნებას სადედოფლოში.

ჭიღაოზა ეშმაკთან

იქეც მართლად ვთხოვე ეშმაკს
არა ქნა!
მერე მარტომ უდაბნოში ვიარე,
მშიერი ვარ მეორმოცე ღამეა,
მწყურვალი ვარ,
თავსაც მიტომ ვისანყლებ.
ეშმაკს უნდა ქვა ვჭამო
და პურად ვქმნა
მე კი ვამბობ,
სიტყვას ვაქცევ ჭურადა,
აღვივსები
შევიქმნები ნაჭამი.
სულიერი საზრდო პურის მკა არის!
ეშმაკს უნდა
ქიმიდან გადამაგდოს
ჩემს ფეხებთან დამხობილხარ ქალაქო!
ანგელოზი აგიყვანსო ჰაერში,
ჰგონია რომ შემიტყუებს ფარეხში,
ვითარ მწყემსი, აღტაცებას განვიცდი
მას კი უნდა თხას გადავყვე ცხვარივით.
ნათქვამია: მე მგავხარო კეთილო
არასოდეს გამოსცადო ღმერთიო!
ბოროტს სოფლის სიამენიც ჰქონია,
თავყანი მეც, შენი ვარო ყოვლითა,
განვედ ჩემგან საზიზღარო სატანავ,
მე ღმერთის ვარ და შენი ყმა არა ვარ!
ამის შემდეგ
ანგელოზი
მოფრინდა,
სიამენი სიტყვისა და ლოცვისა
და განნივთდა უჩინარი, უხილო
ფარდა ჩამოეხსნა ყველა უბინოს,
აიზილა დედამინა
მკვდრეთითაც

იოანე ვნახე, ჯაჭვთა ტყვედ იჯდა,
ზღვის ნაპირას ნაველ კაპერნაუმში
ზებულუნის, ნეფთალიის
ზღვაურში.
მერე იქმნა
ნათელითა ბნელიცა.
მე ვისნავლე
ჩემი ძვლების მტვრევითა
შვილი მარტო იშობება რწმენითა
თუმცა ტვინში
ძე იშობა ყეფითაც,
მაგრამ იმას ვერ ამოჰქმნი ბავშვადა
ბულბულს ვაქებთ
მღერა იცის ყვავამაცა.
ერთი გალობს,
გულს ატკობს და სმენასაც,
კაცმა ჰპოვა
ღმერთის სადიდებლადა,
მეორე კი ცასაც იკლებს
ყრანტალებს,
თუმც ფრთებს გაშლის
დაგვიბნელებს შავ თვალებს.
კაცთა ომში გიგალობებთ
მესია...
ინანეთო აღსასრულის შესვლისას!
გიყვარდესო, ღმერთმა, შენი მტერიცა,
იცოდეთო სუსტი – მწყემსმა კეთილმა.

თამარის ნამდვილი ქორწინება ასე მოხდა. რუსის გაძევების მერე თავად-აზნაურობას და მამიდა რუსუდანს, რომელიც ხვარასნის სულთანის ნაცოლარი იყო (ქვრივი) და მის აღზრდაში დედაზე, ბურდუხან დედოფალზე მეტი ამაგი ჰქონდა, ხელახლა ენებებინათ თამარის დაქორწინება და სასიძოებს არჩევდნენ.

თამარს არ უნდოდა გათხოვება, რადგან არამართლმადიდებლურად მიიჩნევდა მეორედ დაქორწინებას. დიდებულებმა აი-

ძულეს თამარი აზრი შეეცვალა, რადგან სამეფოს მემკვიდრე სჭირდებოდა. თუ არა, არსებობდა ტახტის სხვა კანდიდატიც. და აი, დარბაზობას მისივე დანიშნული თავად-დიდებულები შეიკრიბნენ. (თამარმა ყველა მოხუცი შეცვალა ახალგაზრდით) მათ კი (უცოლოებს) თამარის შერთვა სურდათ. ვისაც ცოლი ყავდა, თავისთვის მოსაწონი მეფის არჩევას ლამობდა (თამარმა კი სახელმწიფოს უკეთ სამართავად გაატარა რეფორმები. ამირსპასალარობა ჩამოართვა ყუბასარს და მისცა სერგი მხარგრძელს. მეორე ხელობა ყუბასარის იყო მანდატურთუხუცესობა, რომელიც ერგო ჭიაბერს.

მსახურთუხუცესობა ჩამოართვა აფრიდონს და მისცა ვარდენ დადიანს.

მეჭურჭლეთუხუცესად დანიშნა კახაბერ ვარდანიძე.

თამარის გათხოვების გადასაჭრელად შეიკრიბა ყველა ერისთავიც. ხოლო იმ დროს ერისთავები იყვნენ:

ბარამ ვარდანიის-ძე სვანთა ერისთავი.

კახაბერ კახაბერის ძე — რაჭისა და თაკვერის ერისთავი.

დოლათო ოთალო შარშვაშის ძე — (აფხაზეთი).

ამანელის ძე — არგუეთის ერისთავი (ცხუმში).

ბედიანი — ოდიშის ერისთავი.

რატი სურამელი — ქართლის ერისთავი.

ბაკურ — ყმა ძაგანის ძე — კახეთის ერისთავი.

ასათ გრიგოლის ძე — ჰერეთის ერისთავი.

სალირ კოლონკელის ძე, აგრეთვე ჰერეთის ერისთავი. მათ ჰქონდათ დავა ქონებაზე და მიწაზე.

ბოცო ჯაყელი — სამცხის ერისთავი (ცხომში).

აბუსალანიძე — კლარჯეთის ერისთავი).

იმხანად თამარმა იერუსალიმიდან ისევ ჩამოიყვანა ქართლის კათალიკოსად ნამყოფი ნიკოლოზ გულაბერიძე, დაინყო საეკლესიო ცხოვრების აღმშენებლობა და აღმავლობა. ასევე სასულიერო კარზე დანიშნურებული იყო გურგენი — ყოვლად ნიჭიერი და ახალი საეკლესიო სიტყვის მქადაგებელი მაღალი სასულიერო პირი. რომელმაც დატოვა ქვეყნის ცთუნებანი და ენეოდა განმანათლებელ მოღვაწეობას. მისი პაპა იყო სუმბათი,

რომელსაც უთანხმოება ჰქონდა ბაგრატ მესამესთან. მას ერქვა დიდი ბიძის სახელი, მასაც სთხოვდა თამარის შერთვას ქვეყნის უსაფრთხოებაზე ზრუნვა.

თამარის ხელს ითხოვდა და საქართველოში ჩამოვიდა უამრავი უფლისწულიც.

შორს გავარდნილიყო ქართველი დედოფლის სილამაზის და გონიერების ამბავი. მუსულმანები მზად იყვნენ თამარის სილამაზით ტყვედქმილებს დაეტოვებინათ სჯული და ქრისტიანობა მიეღოთ.

მისი სილამაზით თავგზა აბნეოდათ:

ბერძენთა იმპერატორს მანუელს,

პოლიკარპოს უფროსი შვილის ასურტანის და შუამდინარის სულთანის სალაღინის შვილს,

სულთან ყიზარსლანის შვილს მუტაბზრატინს და შირვანში აღსართანს. შირვანის მეფე საქართველოს მორჩილი იყო. თამარმა თავად შემოიმტკიცა ეს სახელმწიფო მეგობრად, რათა მუსულმანებსა და საქართველოს შორის გზაზე ეს გაძლიერებული სამხედრო ქვეყანა ყოფილიყო შემაკავებელი ფარი. თამარმა მას მიათხოვა თავისი ნახევარი და და დიდძალი მზითვიც გაატანა. იმდენად ლამაზი ყოფილა თამარის დაც, რომ თურმე ივანე შავთელსა და სარგის თმოგველს, როგორც რუსთაველს თამარისთვის, ისე შეუსხამთ ხოტბა. მისი სიყვარულის გამო ისინი ერთმანეთს შებრძოლებიან და ივანე შავთელი გულში დაჭრილა, დაჭრილი ვანო ამდგარა და მიმავალ ქარავანს გაკიდებია.

როდესაც საქართველოს ტოვებდა ქალი, ერთი კოცნა ნაურთმევეია ივანეს;

გზაზე დამიხვდა ყაჩაღი

ნელზე ხელები მამხვია

ტუჩებზე სისხლი ჩამომდის

არ ვნანობ ჩემზე ახია!

კარი დაიმსხვრა საზვერი

რა მსურდა ღმერთმა უწყოდა

დედა ვუნყევლე გამჩენი

კოცნა წყალივით მწყუროდა!

ბევრი უარით შეწუხებულმა დიდგვაროვნებმა ბოლოს თამარს ისეთი საქმრო შესთავაზეს ვისზეც ბავშვობიდან იყო შეყვარებული. ეს იყო ოსეთის უფლისწული, თამარის დედაც ხომ ოსი იყო.

დავით სოსლანი ბაგრატიონთა სხვა ხაზს წარმოადგენდა, იგი იყო გიორგი მეფის შვილის დემეტრეს შვილიშვილი. ოსეთის უფლისწულსაც რუსუდანი ზრდიდა. ბავშვობაშივე ჩავარდნით გულში თამარსა და დავითს ერთმანეთი. და სახელმწიფო ინტერესებიც მოითხოვდა მათ ქორწინებას.

დავითი სასიამოვნო გარეგნობის კაცი იყო. მას ოსეთიდან უამრავი მეგობარი და ტოლი ჩამოყვა. ამ არმიაში გამოირჩეოდა მწყემსი ჯიმშერი კახიბერიძე, რომელიც მთასავით მაღალი და ძლიერი იყო, როცა საჭირო იყო საომრად მიდიოდა დავითის დიდი მცველი და ქომაგი სხვა დროს კი ცხვარს მწყემსავდა და თან მღეროდა. იყო მდიდარი, ვაჟკაცი, ძლიერი, ყოველგვარი სიკეთით შემკული და არავის არ მიიჩნევდა თავის შესაფერ ქალად. ასე გადიოდა წლები საკუთარ თავის სიყვარულში. როცა დავითსა და თამარს პირველი შვილი გიორგი გაუჩნდათ ძეობაზე ჯიმშერიც მივიდა.

მოსეს ღვინო ძნა

ნეკრესში ღვინო ინურებოდა, ყველა მტევანი მონეული და ტკბილი იყო. სულ ნარჩევი ყურძენით მზადდებოდა ღვინო. ამ ტაძარში მოსე მღვდელი ქადაგებდა. არავინ იცოდა მოსეზე უკეთესი ქადაგება. არც მოსეზე უკეთეს ღვინოს აყენებდა ვინმე. ყოველგვარი დიდი წოდებისგან გაენთავისუფლებინა მოძღვართუხუცესს მოსე. თვითონ სურდა ასე, და მოძღვართუხუცესიც ვერ გრძნობდა იმას რომ სასულიერო წოდებებში უბრალო მღვდელი ნაკლებ საპატივსაცემო იყო.

როცა ყურძენი დაწურეს მღვდელმა რამდენიმე წლის წინ დაყენებულ ღვინოს გადახადა. ქვევრი შავი ღვინით იყო სავსე. მოსე მღვდელმა თავი მოხადა. ჯერ სიპ ლოდზე მიწა თოხით გადახვეტა, მერე ხელით ქვევრის ყელის ქვეშიდანაც გამოიღო თიხა-მიწა, პატარა საგვალავით გადაგავა, სველი ნაჭერით სა-

გულდაგულოდ განმინდა და ფრთხილად, ძალიან ფრთხილად გადახადა სარქველი: სარქველი ამობრუნებული დადო. ზედ კაკლის დიდი ფოთლები ენყო. ქვევრიდან ბოლი ამოვარდა. ნაპირებზეც ფრთხილად მოხსნა ფოთლები. ღვინის სუნმა ცხვირში შეუღიტინა. პატარა ჯამი ჩაყო შიგ და იქვე გაუსინჯა გემო. კაცი დაბარბაცდა. ღვინოს კი არა აღდგომას გავდა. მირონისთვის ცალკე შეინახა ორიოდ კოკურა. იცოდა გადახდილ ღვინოს დიდხანს ვერ გააჩერებდა ქვევრში, მერე ხელადა გაავსო ღვინით და სულ ჰარალე-ჰარალეთი ჩავიდა ძირს. დაბლა ახალგაზრდები შეკრებილიყვნენ. გაუხარდათ მღვდლის მისვლა. გაგონილი ჰქონდათ მოსეს ქადაგებისა და ღვინის ქება, ჩვენს მღვდელსაც თავი არ გამოუდვია და სუფრაზე თამადის ადგილი დაიკავა. ძეობიდან წამოსულები მხიარულობდნენ. ენატკბილი მღვდლის თამადობა ესამოვნათ. მღვდელი თავის ღვინოს სვამდა. ბევრი ჩადიოდა იმ ოხერ ხელადაში, დრო მას ბევრზე ბევრი ჰქონდა. ღორის მწვადის სუნი ტრიალებდა ირგვლივ. კარგად ჭამდა მღვდელი, მაგრამ შავმა ღვინომ მაინც თავისი ქნა და დათვრა. მეფე-დედოფლის სტუმრები დაიშალნენ. ბოლო ჭკვა ტკბილი ბიჭიც გაისტუმრა კაცმა. შებნელებულიყო. ისევ ზევით ასვლა მოუხდა თავის ქვევრებთან და თავის ხატებთან. ტყეში დიდი აღმართის ბოლოს, ნეკრესის ტაძარი იდგა. აქ იყო ნეკრესის მთავარი ტაძარი, ღვთისმშობლის ეკლესიის მარანი, ბიბლიოთეკა, სამლოცველო საიდანაც გვირაბი გადიოდა შილდის ტყეებში არსებულ ეკლესიებში. შილდის თავზე, მთებში, ლეკები ცხოვრობდნენ. ცოტა მოგვიანებით მთავარანგელოზშიც გაიყვანეს გვირაბი. ხალხი ომიანობის დროს თავს აქ აფარებდა ხოლმე და თავისუფლად მიდი-მოდიოდნენ. მტერს იქ უხვდებოდნენ, სადაც არ ელოდნენ. მერე ეს გვირაბები წყლით აივსო და ჩაინგრა. მოსე მღვდელმა ძლივს მიაღწია მონასტრამდე. ყველა სადღაც წასულიყო. ის ხელადა ისევ ღვინით გაავსო და ისევ დაეშვა ძირს. ცოტა გამოფხიზლდა, მაგრამ გადაწყვეტილება აღარ შეუცვლია. დედოფალს უნდა გავასინჯო ჩემი ღვინოო. გათენებისას მივიდა სასახლეში. უფრო ადრეც შეეძლო მისვლა, მაგრამ შენუხდებიანო — იფიქრა. დილის საუზმეზე დედოფლის წინ ნაბახუსევი მღვდელი იჯდა და დედოფალს აძა-

ლებდა ღვინო დალიეო. თურმე წინაღამეს ყური მოეკრა დედოფალს ღვინო უყვარსო და გულში ჭია შესძრომოდა თუ დედოფალს ჩემი ღვინო არ გავასინჯე რა მოსე მღვდელი ვიქნებო. დროზე შემოვიდა მეფე. მოსე მესამე ჭიქას ასმევდა ქალს დაძალებითა და ხვეწნა-მუდარით. მეფეს ხარხარი აუტყდა — ახლა ამას მოიშორებ შენ სუფრიდანო. დედოფალსაც გაეცინა და მერამდენეჯერ თქვა ასეთი ღვინო არ დამიღვიაო. ერთიანად უბრწყინავდა მღვდელს სახე. აი, რას ნიშნავს ღვინის დაყენების ცოდნაო და ათასჯერ ყვებოდა, როგორ იღებდა ასეთ ღვინოს. მერე ნაბახუსევი ჯიმშერი შემოვარდა საპურეთში. გაუკვირდა ამათი დილაადრიანი დროსტარება. მღვდელი უკვე ისეთი მთვრალი იყო, ძლივს იკავებდა წონასწორობას. მაგრამ იმის გამო რომ ზედმეტად ბევრი დაელია გულახდილად უყვებოდა ამათ. შილდაში ღვთისმშობლის ეკლესიის ძველ ნანგრევებთან ციხეში ერთი ავსული ცხოვრობსო, იმდენად ლამაზია, იქ რომ გავივლი თვალებზე ხელს ვიფარებ რომ არ დავინვაო. ქალი ღამღამობით კოშკიდან თმას ჩამოუშვებს ტყიდან გამობაჯბაჯდება პატარა ფასკუნჯი და ელოდება სანამ დედა გაფრინდება, არ დაანახებს ამ მზეთუნახავს არავის, მით უმეტეს კაციჭამია დედას, რომ არ შეჭამოს ქალი, მერე თმაზე მარწყვის მარცვლებს აუსხამს ქალს და ისევ შებაჯბაჯდება ტყეშიო. ისიც აზიდავს თმას და ეს არის მისი საზრდოო.

თუ ამას ვიტყუებოდე ორივე თვალთ დავბრმავდეო, ჯერ ძე კაცისა ვერ შეხებია ამ ქალს თუ ღვთის რისხვას და სილამაზით კი, არც ხატში მინახავს მსგავსი, არც გვირგვინის ქვეშ და უკაცრავად, მაგრამ არც გვირგვინის ზევითო. ჯიმშერი გამოვიდა სასახლიდან, იპოვა მღვდლის მონათხრობი ადგილი და ქალს ჩაუსაფრდა: მართლაც შუალამისას ულამაზესი ქალი გადმოდგა კოშკის ფანჯრიდან და ირგვლივ ყველაფერი გაანათა.

მზაქათო და მწყემსი

აილე დანა, მომკალი

I ფარნავაზი

ლამე ჩამონვა ბნელიო,
ქალმა გაშალა თმებო,
მეცხვარეს შიშვლად ერვენა,
ხურდა ეყარა მკერდშიო.
ქალო გამაძღე შენითო,
მთვარე რად გკოცნის ყელშიო?!
ქალი კისკისით გაერთო
თმა კი ეყარა ბნელშიო.
კაცი აუყვა თმის ჩანჩქერს
ჰელეოსქეთი სწყევლისო...

II ფარნავაზი

.

— ბიჭო გაუშვი ჩემი თმა
და ბეჭდებს მოგცემ ვერცხლითო.
— არ მინდა შენი ბეჭდები,
ბევრი მაქვს როგორც ჩეჩქიო.
— ლეიბებს მოგცემ დაქარგულს,
ბიჭო გაუშვი ხელიო.
— არ მინდა შენი ლოგინი
ფეხზედაც კარგად ვდგებო.
— მზე მქვია, მაგრამ ყინვა ვარ
ცხორში რჩა თოფი შენო.
— მაგას მე თვითონ შევიტყობ
სამარე ხარ თუ ცეცხლიო...
მივარდა კაცი ცივ ღამეს
და ლოშნის როგორც მგელიო,
დალალა, ისე დალალა...

მძინარეს მოსჭრა თმებიო.
ეს ნამის ნვეთი არ გქონდეს
ვნება არ იგრძნონ შენითო,
და მთვარეს გაულანუნა
მათრახად მინდა ცხვრებშიო
გავიდა ხანი მობრუნდა,
ძვალი და ტყავი მწყემსიო
ხელით მოძებნა კუთხის ქვა
კაბის ფარჩა აქვს ხელშიო,
აყვა და აყვა თოკს საშიშს
ქალი დაღალა ხვეწნითო.
— იქნება ჩოხა გეამოს,
იქნება პური თეთრიო,
იქნება ფაჩი-ფუჩები
იქნება მძივი, ქვებიო.
შემოიხია ცხრა აჭრა
ქალმა კალთები გრძელიო,
დაბლა ჩაუშვა ნახევრად
კოშკში ასული მწყემსიო
დავარდა ბიჭი ჯიმშერი
შენა ხარ ჩემი მკვლელიო,
მათრახად დავწან საუფლო
ქალწულის დაღალეებიო,
ვერ მოვიცილე თავიდან
შენი სახე და ცრემლიო.
მაინც ჩემი ხარ, ქალი ხარ
და გაქვს მთრთოლვარე ტერფიო.
დღეს მინდა შენზე შევიჭრა,
მქონდეს უძირო ჭერიო.
შენმა უარით ნაკვნესმა,
გული დაგლიჯა მგელიო,
აიღე დანა მომკალი
მაინც ხომ ტანჯვით ვკვდებიო,
თმა რომ მოგკვეცე აღარ გაქვს?!
მღვრიე სიტურფე ჩელთისო!!!

III ფარნავაზი

ააღდა ქალი აჩვენა
(კახაბერს) საყვარელს ასი ნაწნავი
ერთზე ყვავილებს იწნავდა
სხვაზე თვალსა და მარგალიტს.
აკეცვა ველარ მოასწრო
ბიჭმა აჯობა ასვლაში.
მწყემსი პირისპირ დაუდგა
ცეცხლს აუღებელ ყანაში,
ორივე გადაიჩეხა
კოშკის ფანჯრიდან ქარაფში.

ილიას ტირილი

თვითონაც არ იცოდა სად მიდიოდა. უბრალოდ ასე ცხოვრება აღარ შეეძლო. საქმე აღარ ჰქონდა. ეკლესიას შემოსავალი კი ჰქონდა და იმით ირჩენდა თავს, სხვა მის ადგილას, ამას იღბლად ჩათვლიდა და თავს ბედნიერად იგრძნობდა, მაგრამ მხატვრის მღელვარე სულს ასეთი უშინაარსო ცხოვრება არ შეეძლო. ერჩივნა უაზროდ ჩაეთვალათ, მაგრამ საყვარელი საქმე ეკეთებინა.

ილიამ ბევრი ეკლესია-მონასტერი მოიარა. თავადების პატარ-პატარა სამლოცველოების მოხატვაზეც არ იტყოდა უარს, მაგრამ საქმე ვერა და ვერ იშოვა. არადა ხატვა ისე უნდოდა ხელები უკანკალებდა. ბოლოს ისევ მიტოვებულ ეკლესიას მიაგნო. ქისა თითქმის დააცარიელა და საკუთარი ხარჯებით დაიწყო მისი ხელახლა მოხატვა. საქმე სანახევროდაც არ ჰქონდა მოგვარებული, რომ მიტოვებულ ეკლესიას ერთბაშად ბევრი პატრონი გამოუჩნდა. სალებავ გადაცილებული ხატები, რომელთაც არანაირი ღირებულება აღარ გააჩნდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ აღარ ეტყობოდა კედლებს, უცებ ხელთუქმნელ ხატებად იქცა.

ილია იგივე ხატების აღდგენას შესდგომოდა, არაფერი არ შეეცვალა, გარდა იმისა რომ ცდილობდა, ამ ძველი მხატვრობის ხატმწერლობის და ფრესკათა გაცოცხლება ისე მოეხდინა,

მხატვრის ხელი და ხატვის მანერა შეენარჩუნებინა. მთელი სოფლის მდიდარ მოსახლეობას მღვდელი-დიაკონის მეთაურობით სოფლელი ყმა-გლეხობა აეყარა სამუშაოდან, რათა თვითმარქვია მხატვარს გასწორებოდნენ.

გაოცდა კაცი, აკი ამ მღვდელ-დიაკონისაგან ნებართვა აიღო, თუ შენი ხარჯებით გააკეთებ რა მაქვს საწინააღმდეგო, მით უფრო მოძღვართუხუცესის გულაბერიძის შეგირდი ყოფილხართო. არაფერმა არ უშველა ილიას. ერთი-ორი ხელკეტი თავში მოხვდა, რომ არა ღვთისნიერთა ტირილი და წიოკი, იქნება მოეკლათ კიდეც. მთელი თავისი ქონება ეგრე დაატოვებინეს ადგილზე, სამუშაო იარაღიც კი არ დაანებეს, არათუ მასალა და შერცხვენილი გამოაგდეს სოფლიდან. ილიას მეფე-დედოფალთან მისვლა არ უნდოდა. ამიტომ მოძღვართუხუცესისკენ გასწია. იცოდა, რომელიმე მთავარ ტაძარში იქნებოდა. კითხვაც არ დასჭირვებია ისე მივიდა ადგილზე.

მისი ამბავი უკვე გაეგო მოძღვართუხუცესს. გაბრაზებულიყო, ეკლესია ოჯახის სამლოცველო ხომ არ არის, რომ ჩემ დაუკითხავად დაუწყიათ მოხატვაო, მისთვის ეცნობებინათ, რომ ეს ის მეამბოხე მხატვარიო და ამიტომ აღარ ინება ილიასთან დალაპარაკება. სამი დღე იცადა მხატვარმა, როცა მიხვდა რომ იქიდანაც შეიძლება ცემა-ტყეპით გაეგდოთ, მაშინლა წამოვიდა უკან.

საშინელი დასანახი გახდა ილია. აღდგენილი ხატების განადგურება ღვთის სასჯელად მიიჩნია. სისხლიც აღარ მოიბანა. ასეთმა უსამართლობამ მოტეხა და გაანადგურა.

ჯიბეში ერთი გროშიც აღარ უჭყაოდა. მერე, როდის როდის ძლივს გაბედა მოძღვართუხუცესთან დაბრუნება. ტაძრის ეზოში რიჟრაჟზე მივიდა. ყველას უპოვარი ეგონა და არავის ზედ არ შეუხედავს. ილიას იმედი ჰქონდა ამჯერად მაინც შევალ მოძღვართუხუცესთანო. ტაძარში მისი უწმინდესობა კათალიკოს-პატრიარქი (ახ. ნოდება) გამოჩნდა. მხატვრისა და ეკლესიის მეთაურის თვალები ერთმანეთს შეხვდა. გული აუთრთოლდა დიდ ნიკოლოზს ილიას თვალებზე დარჩენილი იარების დანახვაზე იცნო მოძღვართუხუცესმა უზენაეს ნიჭსა და ძალას მორჩილი კაცი. შემოდი ჩემთანო, უთხრა მკაცრად. კიდეც უფრო შეცბუნებული და თავჩაქინდრული გამოვიდა მხატვარი, მაგრამ

ხელში საყვარელი წერილი ეჭირა ბეჭედდასმული და საეკლესიო ნებართვით ძღვევამოსილი, რითაც მხატვარ ილიას შეეძლო იმ ეკლესიის მხატვრობა აღედგინა, სადაც დაწყებული ჰქონდა სამუშაოები, საკუთარი სურვილისა და შეხედულებისამებრ.

ასეთი ნებართვა, ალბათ, არასოდეს გაცემულა ეკლესიის მხრიდან, არც ერთ საუკუნეში. მხატვრის ფანტაზიას ფრთები შეესხა. ეს იყო შემოქმედი ადამიანისთვის ღვთის სიყვარულის გამოცხადება. სანამ სოფელში მივიდოდა მხატვარმა დიდხანს ატრიალა გონება რა და როგორ უნდა დაეხატა. ადგილზე მისულს, იმაზე უკეთესი მასალა დახვდა, ვიდრე თვითონ ჰქონდა. მის ადამიანურ ყოფაზეც ეზრუნათ.

დაინყო ილიას საოცარი სულიერი აღმაფრენა. როცა თავისი შესრულებული სამუშაო მოეწონებოდა კედლებს კოცნიდა და ბედნიერი იყო, რომ არსებობდა. ის გრძნობდა, რომ ნახატებს ის უყვარდათ. არ იცოდა რა გაეკეთებინა როგორ შეეგრძნო თავისი საოცარი შვილობილების ღვთიური არსებობა. ეკლესიის მოხატვა ისევ მცირე დროში მოახერხა.

ის იყო ყველაფერი მიაღაგა, ქუდი დაიხურა და კარების გამოხურვას აპირებდა, რომ თავზე პოეტი დაადგა. არავის დაინახვა ისე არ გაეხარებოდა, როგორც ამ კაცის. იცოდა სიმართლეს გაიგებდა მისგან.

შევიდნენ ეკლესიაში. შოთას თავბრუ დაეხვა. ეს საოცარი სახეები, ეს გამოხედვა, ეს ტკივილი, ეს ამდენი ულამაზესი მშვენიერი ქალი, რომლებსაც ნაწამები და ნაგვემი სახე ჰქონდათ, ადამიანური ცდუნების უძღვეველობა და ბოლოს ღმერთის ხელი, რომელსაც ვერც ერთი მხატვარი ვერ დახატავდა. თუ არა მაღალის მიერ შთაგონებული აზრი. ღმერთი პატიობდა ქალს შეცდომას — კაცი არა! ქალთა ბრბოში თამარი და მზექეთო იწვოდნენ.

შოთამ თავზე შემოიჭირა ხელი. თავი ველარ შეიკავა და თავის თავის წყევლას მოჰყვა: აი ნამდვილი შემოქმედებო — გაოცდა ილია, მისი ჩანაფიქრი ზედმინწვნით ზუსტად იყო ნაკითხული.

კარი ისევ გაიღო. ეკლესია ხალხით გაივსო. ისევ ასტივდა თავი მხატვარს. ის ხმაურს ველარ უძღვებდა, თუმცა ყველა

ჩურჩულთ ლაპარაკობდა. ილიას ეგონა მთელი ხმით ყვირიანო. სტკიოდა, მაგრამ მოძღვართუხუცესი მაინც გამოარჩია ბრბოში. კაცს საერო ტანსაცმელი ჩაეცვა. ეტყობოდა არ უნდოდა მისი სტუმრობა ვინმესთვის ცნობილი გამხდარიყო.

მივიდა შეგირდთან გადაეხვია მხატვარს. უთხრა შვილო ჩემოვო, კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ატირდა.

დედისა მტირალი

ილია ფრთაშესხმული გამოვიდა. საყდრის უკანა კედელს მიეყუდა, ამდენი ეკლესია ჰქონდა მოხატული და რას იფიქრებდა რომ ერთი პატარა საყდარი ყველაზე ძვირფასი გახდებოდა მისთვის, პატარა ღვთისმშობელის, სულ პატარა. უცებ მზერა გაუშეშდა. ღვთისმშობლის ეკლესიაში ღვთისმშობელი ვერ დახატა. გააფრჟოლა. თითქოს სამყარო ჩამოექცა თავს... ხოო მან ჩაიდინა ეს საშინელი ყოვლად სასტიკი ცოდვა. ყველასთვის იყო ადგილი, ყველანაირი წმინდანის, მართალისა, საცოდავის თუ ზნედაცემული ქალისთვის მის კედლებზე, მხოლოდ ღვთისმშობლისთვის არა! სისხლი წასკდა მთელი სახიდან — ყურიდან, პირიდან, თვალებიდან მოიწმინდა. დაიხედა ხელებზე და ვერაფერი დაინახა. მიხვდა, რომ ეჩვენებოდა. უცებ ხმა გაისმა. საოცარი იყო ეს ხმა, რადგან ღვთისმშობლის ენით ჩურჩულებდა.

დედისა მტირალი

მე ვკვდები, წმინდანი, ლამაზი ქალწული,
მეუღლე ღვთის ნების და დედა უფალის,
ცრუს კი უხარია ჩემი უძლურობა,
რწმენა ღვთისმშობელის აღარ არს, ქვით არის!

მე თვალი ჩაგისვი ნათლისა უფალო,
შენ ვერ შემიყვარე, მტირალ არს ქვით არის,
და ცალი ხელით რომ სახლად გქმენ საყდარო,
შენ ცილი დამწამე: ნაქურდალ ქვით არის!

მე შენთვის ავცეკვდი სრულად დედამინავ,
ღმერთმა რომ ძე მომცა, არა გნამს... ქვეთ არის
შვილი ვარ კეთილი!!! ბიბლია ქალაქო!..
გული ამომგლიჯე დედისა მტირალი!

ილიამ იფიქრა, რომ ყველაფერი დამთავრდა და რადგან მის სხეულში ვიღაცა საშინელი ხმით ღრიალებდა, გარეთ კი ხმა არ ისმოდა.

თავზე ხელის შეხება იგრძნო. აიხედა სასონარკვეთილი თვალებით და დავით სოსლანი დაინახა. კაცმა გაუღიმა. ხელი ჩამოართვა და გასაოცარი გულწრფელობით კითხა: როგორ დაამსგავსე ყველა ქალი ღვთის დედასაო. ილია მოწყდა ადგილს, შევარდა საყდარში, ხელების ცეცებით დაუარა ქალებს, დედებს, გოგონებს. ხოო ეს სილამაზე... ეს ღვთიური სიკეკლუცე... ეს უძრაობის მოძრაობა.

ისე დაუხატია დიდი დედა რომ ვერც მიხვდა თუ ვის ხატავდა. იგრძნო რომ თვითონაც აღდგა, თითქოს გაცოცხლდა, აქამდე მინა იყო და ახლა ანგელოზია, დღემდე თუ ადამიანივით, ჭამდა ახლა ღვთის რჩეულივით ისულდგმულებს და თუ ვნება ესტუმრება მისდა გასახარად, არ ნაიბილწება, რადგან სუფთაა მისი ჭურჭელი.

ვეფხვის გუთნისღება

მოხეტიალე მსახიობებში ერთი კაცი გულალას შვილი ვეფხვების მომთვინიერებელი, ყველაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა. ეს მსახიობები ქართველები იყვნენ. ხშირად საზღვრებსაც გადიოდნენ, მაგრამ მათი ძირითადი კერა საქართველო იყო. მათ უფროსობდა ეს კაცი. გალიაში დამწყვედიულ ვეფხვებს, მომთვინიერებელი ჯდომას, წოლას, ცეკვას და სხვა ასეთი სირთულის დავალებებს ასრულებინებდა. ერთხელაც ამ კაცმა აიტეხა ვეფხვებს მინა უნდა მოვახნევიწოვო. ბევრი უშალეს მსახიობებმა ვეფხვების მომთვინიერებელმა ქალმა მაიამ – მისმა მამამ მისამ, რომელიც მთელი დასის თავი იყო. თუმცა თავად გამოზარდა ასეთი ჯიუტი და თავისნაირი მომრჯულე-

ბელი: ვეფხვებს ასეთ რამეს ვერ გააკეთებინებ და თავი არ შეაჭმევინოო. კაცმა მაინც არ დაიშალა — მამაჩემი გუთნისდედა იყო, პაპაჩემიც, იმის პაპაც, მე რა ჯანდაბა ვარ რომ იმათ ხელობას ვუღალატოო.

— ისინი ხარებს ახნევილებდნენ მინას, ვეფხვებს კი არაო.

— ხარზე ჭკვიანი და ძლიერი და დალოცვილი და საზარელი და სრულყოფილი და ბელადი და ურჩი, სწორედაც ვეფხვიო, — ჯიუტობდა კაცი.

ხოდა დაიწყო ვეფხვების წვრთნა. ბოლოს ჩათვალა მზად არიანო და მაყურებელიც შეყარა. შეაბეს ვეფხვებს გუთანი. გადაკრა კაცმა შოლტი. გაიტანინა ერთი კვალი. ხალხი ყვირის ტაშს უკრავდა. პირველად ხედავენ ვეფხვებს მინა მოეხნათ. მეორე კვალი გაიტანა კაცმა და სახნავზე ჭრელა-ჭრულა ტანსაცმელში გამოწყობილ მეფესავით დგას, თავი ღმერთი ჰგონია. ხედავთ ყველაზე დაუმორჩილებელ მხეცებს გუთანი მოვაბიო. ჯერ ჩუმი ღრენა გაისმა. თითქოს ცხოველებმა იეჭვეს, რომ მათ დასცინოდნენ. მიხვდნენ, რომ მათ გამო, კაცი აღტაცების ყიჟინას იღებდა. მინაზე ცვიოდა ოქროსა და ვერცხლის მონეტები. მერე ერთი ვეფხვი გაჩერდა. კაცმა შოლტი ისე გადაარტყა, როგორც საჭმლის მიღებამდე არტყამდა ხოლმე, მაგრამ ამ ფანდმა არ გაჭრა. კარგად დაბმულმა ვეფხვებმა, მთელი ძალით გაიწიეს. ტყავის საღტეები დაგლიჯეს, გუთანი ამოატრიალეს და გუთნისდედას ღრენით მიუახლოვდნენ. კაცი ადგა, მიხვდა, მისი სიცოცხლე ბენვზე ეკიდა. ხალხი გაინაბა. დგას ახლა ეს სამი არსება ერთმანეთის პირდაპირ, კაცს ხელში მათრახი უჭირავს. მაყურებლიდან ვილაცამ, ორლესული გადაუგდო. ნასროლი მარჯვე გამოდგა, ზედ კაცის ფეხებთან დაეცა. მოასწრო გუთნისდედამ შეიარაღება და ვეფხვებიც თავს დაესხნენ.

იმავე წამს, შუბებით შეიარაღებული სამი ცხენოსანი შევარდა მინდორზე. ვეფხვებმა, კაცს თავი დაანებეს და მინდორის ბოლოს ტყისკენ გაქანდნენ. სანახაობა ჩაიშალა, მაგრამ რაც ნახეს ისიც საკმარისი იყო. ვეფხვებმა მინდორზე ორი ხნული გაიტანეს. რას არ გააკეთებს კაცის გონება. ამ კაცს იმ დღიდან დიდი გუთნისდედა შეარქვეს. ვეფხვების წვრთნისთვის თავი არ დაუნებებია, გიგიტაანთ ვეფხვის გუთნის დედას, უყვარდა

ეს თავისუფლებისმოყვარე ცხოველები, მეც ამ გალიაში ვარ გამოკეტილიო და ტაკიმასხარა კი ნუ გგონივართ, მეც ლომგული ვარო.

ერთხელაც ვეფხვების გუთნისდედა, თავის ყანაში მიწურს თხრიდა, სხვანაირი სიგრილე მექნებო, რომ ცხენების თქარა-თქურის ხმა გაიგო. ყური მიუგდო და ქართველთაგან უკადრისი ამბავი შეიტყო, ქართველი თავად-აზნაურობა რუს იურის მოუძლოდა, მას განეზრახა დავითის მოკვლა და ტახტის დაბრუნება. გუთნისდედა აკაკიმ, მოკლე-მოკლეზე მოუჭრა მომხდურებს და თამარს დროზე შეატყობინა ესოდენ აუგი განზრახვა. ეს აჯანყება თამარმა მოიგო და რუსი კვლავ სამარცხვინოდ გააძევა თავის ქვეყნიდან. აჯანყებულთან ბრძოლიდან გუთნისდედას სახეზე შრამი დარჩა. დავით სოსლანმა მადლობის ნიშნად კაცს გამართული სახლ-კარი და სახნავ-სათესი აჩუქა. იგი კიდევ უფრო მეტად მდიდარი და გავლენიანი გახდა. მეორედაც დაბრუნდა რუსი ტახტის დასაბრუნებლად და ქონებისა და სახელის მოსახვეჭად, ბრძოლა ქიზიყში გაიმართა, იქიდანაც კუდიით ქვა ასროლინეს ქართველმა მეომრებმა და სული ძლივს წაათრია სამიოდე ცხენოსანთან ერთად. მთელი ჯარი ამოუნყვიტეს მას. ამის შემდეგ რუსს ჩვენი ქვეყნის მითვისება აღარც კი უფიქრია. აქაც აკაკის (კაკოს) ხელი ერია.

ვეფხვის გუთნის დედა

რატომ გიკვირთ, რომ ვარ
ვეფხვის გუთნისდედა,
ზნეკეთილი ხალხი
ხომ ჭიდაობს ღმერთთან,
რომ გვემართა ცეცხლი
და ლითონი გვეცნო
ყანაში ჩავინვით
შეგვინდევით ღმერთო!
ამ მთას კავკასიონს
ჯანმრთელს, ახლადშობილს

დაეხვია მტერი,
ქინქლა ქვევრს თავმოხდილს,
კი ვიცი, რომ ბოლოს
გაიმარჯვებს სისხლი
გრაალის თასს მოხდის
აბკთან ერთად სიკვდილს!
მაგრამ ჩემო ხალხო,
ჩემო მწყრალი ენავ,
თავთავს გვეცილება
მრუში — „სათნოება“.
მარცვალა ციციქნა
მარცვლის მტერი დიდი,
ისე გაგვაქრობენ
ერთ სიტყვას ვერ ვიტყვით!
ამიტომაც ვეფხვთა
გახედვნასა ვლამობ,
და ნუ მინყენ ხარო
ჩემო მარჩენალო!!!
შენც ნუ განრისხდები,
ტაძრის ზართა რეკვავ,
ასე გველოდება რბევა და ნალეკვა.
კი მიუშვერ ლოყას
მაგრამ შენ ვერ დაგთმობ,
ჩემო დედამინავ (საქართველოვ)
განვედ ბოლო ჟამო!!!

ვეფხვის გუთნისდედას ერთი ღვთაებრივი გარეგნობის გოგო
ყავდა ამოჩემებული. შორიდან ელიცლიცებოდა.

უფალს ეკუთვნოდა გოგო
კაბა რომ ემოსა კენკრის,
ის იყო მდინარის ქაფი
და ძეგლი ტაძრიდან კვეთის.
ის იყო თოფიდან სროლა
და ელვა, ჰაერის დაჭრა,

ის იყო მეხი და ცეცხლი
და მართვეს ჰაერში აჭრა!
თუ გინდათ დასწამეთ წყრომა
ან კიდევ ცოდვა და ბნედა
სულ უკანასკნელი წყლით ხსნა
ანდა დიდი სერაფემა.
მინაზე მოსული ცრემლი
დედა ღვთისმშობელის დარდის,
ფრთები რომ მოკვეთა ღმერთმა
ქალო, შეიცანო კაცი.
ნაკურთხი სამეფო წყალის
გოგმანი დედისა ხატად
ვაიმე ღვთის გალაქტიკის
რძე ნანადირევი და ხმა.
ქვის ქვეშ ჩამზერილი გველი,
უსმენდა ქალის ტკბილ ნანას,
და გველმა ვით ხორციელმა,
ველარ დაიოკა კლაკვნა.
გიურზა ჩალოლდა ხვრელში
დათმო წილი ფეხის ქალის
ჰქონდა რთველი ამ დაწყველილს,
ღვინის დაყენება მაყვლით.
ვეფხვის გუთნისდედამ უთხრა
გოგოვ მიყვარხარო — კარგო
მტრედი ასკილს ჩაუცუცქდა
ძმავ არაფერი აქვსო!!!
ისევ აუტირდა ამ კაცს
თვალის უხვი ფერის მზერა,
ვარსკვლავო — მე მაქვსო სახლი!
მთვარეო — მე მაქვსო კერა!
ტაძარში თუ ტაძრის იქით,
ამ ორმა განყვიტა ჯაჭვი,
შეეყუჟა მთვარე უბეს,
გულის განუკურნა ბზარი.

სოფლისა და ქალაქს გარდა, არსებობდა ტყეც, მთაც, ზღ-
ვაც... რომლებიც სხვანაირად იმართებოდნენ. აქაც იპოვა თავ-
ისი კეთილი ადგილი ილიას ხატებმა შოთას ლექსებმა, თამარის
და დავითის გონიერებამ...

ამ სოფლის ნუთისოფელში კი დავითმა ახალი იარაღის შექმ-
ნაზე დიდი დრო და ენერგია დახარჯა. ისეთი დრო იყო მარტო
ხმლით ვერაფერს გახდებოდა კაცი და ოქროს სანმისის ქვეყა-
ნაში, რა თქმა უნდა, ადვილი იყო დიდი დავით აღმაშენებლის
მიერ შექმნილი ერთლულიანის გაუმჯობესება, ორიანით და მე-
ტით. მაგრამ ხალხმა ამით ნადირობაც დაიწყო, უმწეობებზე და
უდანაშაულობებზე, ტყის შვილებზე.

ტყის ენა I ორფეხება

წავიქეცი, წამოვდექი
და დავგორდი კლდის პირას,
შენ რომ შეგხვდი, ტყვიას გულში
დავატარებ იმ დღიდან,

ჩემი ერთა, სულ პატარა
ფრთხება ყოველ ფაჩუნზე,
უნდა ავდგე მომეხმაროს
აღუას ვერ ვაჩუმებ.
ირგვლივ ვარდს და ყაყაჩოში
სისხლის მზე წევს თვალღია,
ჭია-ლუა დაესია
კლდეზე სვაჯი დაფრინდა.

მეშინია, რომ ჩემს პირმშოს,
გამომტაცებს მე უძლურს,
თორემ ღმერთს ვთხოვ — მომკალ მალე
ნუ მანვალებ, მეძუძურს.

ავდექ ძლივ-ძლივ და გაიხსნა
ნატყვიარი შუამდე,
ისევ ღია სისხლი მომდის
შავი კოლტი მდულარე.

ვიცი მალე რომ მოვკვდები,
წამებიც მაქვს დათვლილი,
ცოცხლად შემჭამს ლუკმა-ლუკმად,
მტაცებელი ნადირი.

და იმიტომ, არა ჩემთვის,
რომ პატარა დავიცვა,
მე მოვდივარ ჯოჯოხეთო,
ჩემი ფეხით სადილად!

ამ ტყის პირზე, მცირე ქოხში
ცხოვრობს პაპა შიოლა,
ავია და ბოროტია
ტყვიაც იმან ისროლა.

და ბინდ-ბუნდში ბოლო ძალით
მე მოვდივარ, თქვენს სახლში,
აღვესრულო, თქვენ მაჯობეთ
მოვდექ ჭყვივლს მერცხალის...

თვალებს ვახელ, ისევ ბნელა,
მაგრამ თბილა და ვსუნთქავ,
აი, თურმე როგორ ცხოვრობს
შოი ბერი შავგულა.

თურმე ისიც იმალება,
მაშ კედლებში, რათა ზის?
ხაშსა ხარშავს, ნიორს არჩევს,
ვცნობ სუნს ღორის ნაწლავის.

სანოლის ქვეშ ვხედავ იმას,
ვისთვისაც ღირს გაძლება
არ მოუკლავთ, ტკბილად ძინავს,
ღმერთო ჩემო, რა ხდება!

ნუთუ ჩვენმა ოჩოპინტრემ
ღმერთს სთხოვა, რომ დავენდეთ
და ის ვინც თოფს გვიმიზნებდა,
სახლში არას გვავენებდეს!

ჯამში ეგდო ტყვიის ბურჯლა
რძეში ამოგანგლილი,
ჩემი გულის ტყიურ გულის,
მოგლეჯილი ნაწილი;

და ნაფლეთი გულის ყელის
საიდანაც (ვბლავივარ) ვმღერივარ,
დღეს კი მუნჯი ჩემი ცოდვით,
ბულბული სტვენს კვნესითა.

მკოცნის შიო თუ შიოლა,
თითის ტარზე ნათოფზე!
მოვმჯობინდით, გავიქეცით
გადავევლეთ ჯაგ-ლობეს.

მოსარეკში დამხვდა შიო
მამუნათებს — გავძალღდე:
— შეგიფარე, მოგარჩინე,
უღლეურიც გავზარდე!

ვიცი მესვრის, ტყისკენ მივალ
წინ მიმიძღვის პატარა,
უკან არც კი ვიხედები
აი, თოფიც გადახსნა.

ორი ტყვია ჩადო დინჯად,
ვერ ვხედავ ვგრძნობ, ორივეს.
ნეტა მოგვკვლავს? კენესის გული
ყველაფერი სჯობს ციხეს.

და მაკვირვებს ღვთისნიერთა,
ორეული ბუნება,
ორფეხება კვლავ მიბრუნებს
ნანატრ თავისუფლებას.

* * *

თამარიც დიდი ხანი ცდილობდა პაპის, აღმაშენებლის მიერ შექმნილი თოფის გაუმჯობესებას. როცა დავითმა აჯობა ამაში, ძლიერ ეწყინა. გარშემო ქვეყნებში არავის არ ქონდა მსგავსი. მთელი თავადობა თავს იწონებდა, თვითონ კი არა! ცოტა მესაკუთრე იყო იგი და თავი გაარიდა დავითს. არადა მხოლოდ ერთი კვირით ადრე მორჩა დავითის ჯგუფი, თოფის ჩამოსხმას, თამარის ჯგუფზე. სამაგიეროდ თამარის თოფი, უფრო ლამაზი და დახვეწილი იყო.

თამარი ტყეში გადაეყარა დედა ირემს და მის პატარას. გაუკვირდა რომ მის დანახვაზე არ დაფრთხნენ. ახლოს მივიდა, დედას შეამჩნია საზარელი ჭრილობა მკერდთან, იცნო ნატყვიარი. ხელით გაუსინჯა, კიდევ უფრო გაოცდა, თუ კაცმა დაკოდა, რატომ არ გამირბისო. მერე ხელის ჯიკავით აიძულა გაუვალ ბარდებში შესულიყო დედა-შვილი. კარგს არ მოუტანთ ეს ნდობაო, შენუხდა და ტყის შესწავლა გააგრძელა. ცოტა ხანში დაუძღურებულ ხვად მგელს გადააწყდა. მგელს ძალა სულ გამოსცლოდა, ნაშიმშილევი და სისხლდაკარგული იყო.

სანამ თამარი ხვად მგელთან იყო, მენყვილე ძუ სხვა ხვადს ევედრებოდა.

ტყის ენა II

ქუ მგელი მგელკალას ეგლასუნეჰოდა

მგელო გენაცვალე მადაში
ენა ამილოკე და ლაში,
ჩამომდის დორბლი და ნაქაფი,
მუცელი მიღმუის გამძღარი.
და ბოყინ-ბოყინით დავდივარ
გახრწნილ ლეშსა ვჭამდი აქამდის,
დიდ ირემს იოლად აჯობებ,
პატარას ჩემს ნადავლად ჩავთვლი.
არ მომცემ ამგლიჯე ყარყატო,
სანამ გავიქცევი წარაფში,
მე არ დავბრუნდები იმ ხროში
ვისთანაც ცხვრის დუმას ვყლაპავდი.
ბელადი შემიძვრა თეთრონში
მწითურმა არ დამთმო არაფრით,
მერე წრე შეიკრა სამსხვერპლო
გაიხსნა საყვარლის გაფატვრით;
ხროვამ ინადირა წინა დღეს,
აყარეს კამეჩი დამდგარი,
ხარი გაეპარა ბებერ ბერს
ავუგეთ ანდერძი, ადათი;
ზურგი შეგვაქციეს მაძღრებმა,
მე კი გავათრიე ჭალათი,
ავლოკე და გადავარჩინე
ჭყანტობში დავმალე მთლა მკვდარი.
ყელთან გავუჭერი სიმები
მყესზეც ჰქონდა დიდი ნალადრი,
ტკივილით ვერ დაიყმუვლებდა
ჭკუაში არ მყავდა ბადალი.
მძორის მოყვარული მოფრინდა,
ალესილ ნისკარტით და ბრჭყალით,
მეც მას დავრდომილად ვეჩვენე,
თავს მოულოდნელად დავატყედი.

მოვკალ და ჩემს მწითურს ვაჭამე,
მერე კვლავ ვათრიე ალაზნით,
იღბლად მივაგენი ფულუროს,
კარგად დათბუნებულს ნამჯათი.
და შეყვარებული მწითური
მოკვდა, კვლავ გაცოცხლდა ათას გზით
ჭამაც არ შეეძლო უჩემოდ,
მეც მთვარეს მშვიერი ვხმალავდი,
ვენამლე საზარელ ნაპირალს,
ამ მოდგმის ძუ სხვა ფრად ამტყდარი
ან რა სახარება უშველის
მგელს თუნდაც ცხოვრობდეს საყდარში.
თუ არ იმგელებო, მე შეგჭამ
მე კი არ შეეჭამე არც მაშინ,
მერე ამიჯანყდა ჯილაგი
განდგომილს, შიმშილით გადახრწნილს.
მივხვდი ნადირობდი მარტოკა
და ომს მოუგებდი ხორცს რქაში,
შეიკრიბება წამს მგლის (აქ) ხროვა
და არ თქვა რომ შეგხვდა ხროს თავი (ქადაგი)
და არ თქვა, რომ ორი მოვკალით,
ახლაც ვგრძნობ ოხშივარს საყვარლის,
მგელო არ გამცე და გამყიდო,
ლუკმას დაგიბრუნებ ყანათი.
მერე ვინადიროთ სამივემ
დავგლჯოთ ვინც ზმუის და ბლავის,
ბელადის ზურგის მალს ოცდაათს
ნაკიანში ჩავდებ საფლავში.

ამასობაში ქალი დაყურებდა ხვად მგელს, მწითურს ძალა სულ გამოცლოდა. იგი ინსტინქტურად მიხვდა, რომ ქალის არ უნდა შეშინებოდა. მგლურმა ბუნებამ ისიც უთხრა, რომ ეს ქალი მსხვერპლიც არ იყო, მაგრამ მაინც შიმშილმა თავისი ქნა... ქნა და გაიწია.

ქალს ხელში ხმალი ეჭირა, არ უნდოდა დაუძლურებული ცხოველის მოკვლა. უბრალოდ ეს იოლი არ ჩანდა. მგელი არ

ნებდებოდა. უფრო და უფრო გამეტებით უტევდა. თამარს ახლა უკნიდან მოესმა ღრენა. იფიქრა ბევრნი არიანო და შეაყრყოლა. მობრუნდა. ხედავს, ულამაზესი თეთრი მგელი დგას მის წინ. ზურგზე კი საყვარელი ის პანუა ირემი ჰყავს მოგდებულნი, დილას რომ ეთამაშებოდა.

პატარა უკვდავების ნათელ გზას არის დამდგარი. ყელი ლამაზი და ნაზი ყელი უკან გადაუგდია. თვალებიდან ისევ ცრემლი მოწვეთავს (თურმე ბავშვივით ტირისო ეს პატარა, დედებო!!!). ჯერ არ გაციებულა ცრემლიც. თამარი გამწარდა და შეჰკივლა. თეთრმა გადმოაგდო მსხვერპლი. ქალისთვის თვალი არ მოუცილებია და ისე დაიხია უკან. დედოფალს გულმა მკვდარი პატარისკენ გაუნია, მაგრამ გულს არ ენდო. იცოდა ეს შეიძლებოდა, ძალიან ცუდად დამთავრებულიყო და სწრაფად გაშორდა მგლებს.

ტყის ენა III ლომის გული

ჩუმად დგას მდინარის ნაპირთან
ცხელ სისხლზე საღერღელ აშლილი
ხმა ისმის ძუ მგელის ძლიერი
მორთულ თავქარიან ქალისიც.
არა ჩანს, მაგრამ გრძნობს ხორცის სუნს,
ლაშებზე დადენილ დორბლს ლოკავს,
ქვა გაკრულს ნახტომზე დაძაგრულს,
სული ეცანცლება, თან ოხრავს.
ყურს ელამუნება თითქოსდა,
მსუბუქზე მსუბუქი ნიავი,
და არა ჰგონია ამ ტყეში,
სხვაც არის მასავით ხიზანი.
ნახტომი, რომელიც ყოველთვის,
საწყალის წიოკით მთავრდება,
ლითონის ანალეს სიგრძეზე
გაიპო და წამში გამრთელდა.
და ლომს შეეღება მუცელი,
გადახსნილს ნეკნიდან მენჯამდე,

გაუვალ ბარდებში შევარდა,
მეფეთ-მეფე იცნო მზერაზე;
და ცუგა ძალლივით აყმუვლდა
შიშისგან, რისხვისგან ბრაზისგან
ტკიოდა ნახმლევის სიმტკიცე,
ტკიოდა რომ მდედრმა აჯობა.
თითქოს უკვე პირით ეჭირა,
ძუ მგლის ნალკოტური კისერი,
სადღაც არსაიდან გამოჩნდა
ქალი მასზე უფრო ძლიერი.
და ლომმა ბუნაგში შეასწრო,
ვით ციცქნა წრუნუნამ დიდ კატას,
და მიწას ღეჭავდა ტკივილით
ღმუილს იკავებდა მშიშარა.

თამარს დიდხანს უყურებდა ეს ორი მგელი, გაცეცხულე-ბი. თიქოს უნდოდათ გაეგოთ, რატომ გაიმეტა თავი მათთვის, ამ ორფეხა მხეცმა (თანაც მდედრმა, ამაში დარწმუნებულები იყვნენ, რადგან მრავალ მონადირეს გადაყროდნენ თავის სიცოცხლეში. მწემსებსაც იცნობდნენ და სოფელიც აქვე იყო. თან კაბა ეცვა, მძიმედ და ფრთხილად, რაღაცნაირად დადიოდა) როგორ მოერია ტყის მბრძანებელს ეს ბრჭყვიალა თავიანი არსება?! რა ძალით გაუფეშხვა მუცელი საზარელ ბოროტებას, ან რატომ ჩაიგდო სიცოცხლე საფრთხეში. მგლები ფრთხილად მიუახლოვდნენ ქალს. დედალი წინ გაუგორდა ძალლივით და ფეხები აუთამაშა, მამალმა დაძაგრული ხელი აულოკა. ხელი ისევ მთელი ძალით უჭერდა ხმალს ტარზე. სისხლით აყვავებულ იყო ვერცხლისფერი მორკალული მთვარე. მთვარიდან ჩამოვიდაო მოიაზრეს მგლებმა და თავისიანად ჩათვალეს.

ორიოდე საათი მგლებთან დაჰყო თამარმა, მამრს წამალი წაუსვა, მდედრს მუცელი გაუსინჯა, მიხვდა მაკედ იყო და საკუთარი მიხვედრილობის შეეშინდა, რომ დაიცვა ყველაზე დაუცველი, ხოლო ჩლიქოსნებზე, ცდილობდა აღარ ეფიქრა, რადგან ეს ბუნების და ტყის, სამწუხაროდ ადამიანის უსასოობისიც, უღმობელი კანონი იყო. სუსტი ილუპებოდა.

შელამებულზე გამოვიდა ტყიდან. არავინ არ იცოდა რატომ არ მოინადირეს გარეულმა მხეცებმა თამარი. არავინ გარდა ილიასი, რომელიც ჩუმად, ლანდივით ფეხაკრეფით დაყვებოდა უკან და არ ენახებოდა. კვალს აქრობდა, სუნს აქარწყლებდა, და საკვების შოვნასაც უიოლებდა.

(ჰაერიდან ფრთამდე, ფრთიდან მიწამდე, მიწიდან ღმერთის სამსჯავრომდე)

ტყის ენა IV ამირანის მინა

წმინდა მინა ლაზარე

გაჯავრებული არწივი
ენას ეძებდა თავისად,
იფრინა ოკეანეთი
კავკასიონზე დაფრინდა.

თამარის სურვილს დაენვა,
ქორიც ოხერი-ტიალი,
წიგნი ვერ ჰპოვა ვეფხვისა
არ იყო მოყმე მტირალი,

ნესტანი ზე აიტაცა
ჰქონდა მტაცებლის ბრჭყალები,
არწივი ეცა – ვით ელვა
ქალი უყვარდა ხატთ წერით.

ომობდნენ და თავებს აკლავდნენ
მეფე ჰაერის და ქორი,
ქალიც ხმარობდა იარაღს
ბრძოლა ნაცადი ხატობით.

სათუნ სატულუბი

ქორმა – ჩემი ხარ ქალოვო,
მასწავლე ენა ლაზარე,
მინა მომეო მზის თრობა,
ზღვა მაჩუქეო სანავე!

არწივმა – სკივრში გიპოვე!
გამირბი ნანი ნანაო...
ჰაერში მეფეთმეფე ვარ,
შენს თავს არ მივცემ ქაჯსაო!!!

ღმერთის დაყვავება თავისუფალ ამირანთან (შენჯალუბა)

მინა კვნესოდა დაჭრილი
და აზელილი ბრძოლისგან,
ძლივს გაენწყვიტა ბორკილი
მურიას ბევრი ლოკვისგან.

და კითხა ღმერთმა ამირანს,
რად მოიპარე ცეცხლიო?!
ქალიც მომტაცე ყამარი,
მეჭიდე... ჩემო შექმნილო!!!...

ამირანმა კი შეღმუვლა,
– ხედავ რა ხდება მინაზე
ვერ გაუყვიათ ნესტანი,
ფრთებს უსაზღვროს და ბრწყინვალეს.

მე ქართველს მივე ის ცეცხლი,
რომ სახე შენი დაეცვა,
მაგრამ კაცი ვარ ნათლიავ,
თვალი ყამართან გამექცა.

ამირანი და წმინდა ყამარი

ყამარო ყამარიანო,
ყელ-ყელავ ყალამიანო,
გტოვებ და ცოცხლად მკვდარი ვარ,
შავი ზღვის ცრემლში ვიბანო
ნატირ გუბეში დავიხრჩო,
ცხრა მთა და ზღვა გავიარო
ვერვინ ვიპოვო შენფერი
სანუთრომ დამაზიანოს.
ვერ შევწვდე შენს ფრჩხილს შენს თმის ღერს,
შენაც უჩემოდ იგლახო,
რომა ხარ მიუნვდომელი
მე მოკვდავი ვარ, ძვირფასო!
ყამარო ყამარიანო
ყარყარავ ამაყიანო
საბრალოვ საყვარლიანო
აღდგომავე აკვანიანო.

დავითს კი ისე სჯეროდა თამარის, აზრადაც არ მოსვლია, რომ მას რაიმე ხიფათი ელოდებოდა. თამარს ძალიან უყვარდა კახეთში დაბრძანება. შილდაში სატახტე ააშენა და ხშირად იქ იმყოფებოდა. ენისელისა და გრემის შესაყარზე სადედოფლო ციხე-კოშკი ააგო, მთავარანგელოზის სამლოცველოც უამრავი შესანიშნავი გაავსო. მთელ საქართველოში ქონდა სატახტე სასახლეები, უყვარდა მცხეთაში, ქუთაისში და სოხუმში ყოფნა, თავის პალატებში ნარნარი, მაგრამ, რაღაც მაინც არ აკმაყოფილებდა.

ფუფუნება მისთვის უფრო სასჯელი იყო ვიდრე ღებნა, ვერ იტანდა ადამიანის ჩაგვრას, მით უფრო სასულიეროების და როცა შავი მთის მონასტრის მონაზვნებისთვის მიცემული განძი წაართვეს ბიზანტიის იმპერატორის ალექსის კაცებმა (ეს განძი მონასტრისთვის გაიღო თამარმა). მან კეისრის სამაგალითოდ დასჯა გადაწყვიტა წაგებულმა ბერძნებმა დათმეს დიდი ხნის წინ დაპყრობილი ადგილები.

თამარმა ქორწინებამდე ეკლესიის კრება მოინვია, სადაც თავი დაიმდაბლა და შეაგონა დამსწრეებს „ნუ თუალახუამთ მთავართა სიმდიდრისათვის, ნუცა გლახაკთა უდებჰყოფთ სიმცირისათვის“. მან მრავარლი საეკლესიო რეფორმა გაატარა, გაამდიდრა და გააძლიერა როგორც ეკლესია, ისე ქვეყანა. მოუწოდდა ხალხს სულიერი განწმედისკენ.

მაგრამ არავინ არ ისმინა მისი სწავლა და კეთილი რჩევა. მან ეკლესია-მონასტრები გაანთავისუფლა გადასახადებისაგან (ბეგარისგან), მაგრამ ეკლესიას მაინც მრავალი ბოროტი თესლანი ჰყავდა შეკედლებული თავის ნიაღში და ზნეობა მერყეობდა ქვეყანაში, ამიტომ თამარმა გადანყვიტა უბრალო ხალხის ხმას დაყრდნობოდა, ის დიდებულსაც და გლახაკსაც ერთნაირი სამართლით სჯიდა და ისმინა ხალხის კვნესა-წუხილი თამარმა, ამიტომ სიკვდილით დასჯის გააუქმების შემდეგ გულმონყალების სიგელიც გამოსცა.

ამ დროს ეკლესიებში სკოლები იყო გახსნილი. სათავეში მოძღვართ მოძღვარი ედგათ. ისწავლებოდა: ქართული ენა და გრამატიკა, ფილოსოფია, რიტორიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია, მედიცინა, სამჭედლოება. საგანმანათლებლო კერები იყო ათონის მთაზე – ივერთა მონასტერი, მონასტერი შავ მთაზე – სირიაში, პეტრინის მონასტერი ბულგარეთში, საქართველოში აშენდა ბეთანია, ქვათახევი, ერთანმინდა, ყინწვისი, ხრამი, ლურჯი მონასტერი, ვარძიის დიდი ნაწილი.

თამარი იყო გულმონყალე, ერთობ გულმონყალე, მაგრამ ამით ქვეყანაში მდგომარეობა არ შემსუბუქდა. ამიტომ თამარმა გადანყვიტა არა მარტო მოესმინა, შეეცნო კიდევ თავისი ქვეყნის შვილების ცხოვრების სიძნელეები. დაენახა, შეემსუბუქებინა, გაეთავისებინა. მეფის გვირგვინი მოიხადა და უბრალო გლეხის კაბაში გამოეწყო. მისთვის ყველა სახლის კარი გაიღო, დიდებულებიც კი, რომ ეგონა რომ კარგად იცნობდა, სხვა კუთხით დაინახა. ისიც შეიტყო, ალბათ ღვთის სურვილით, რაც მხოლოდ ღმერთმა იცოდა:

ქალიაყვანა

I თავი

კავკასიონის ნეკრესში
გზა გაუჭრიათ წვალებით,
ღმერთს სწვდება ხელის განწვდენით,
კაცი ციცაბოს ამვლელი.

იქ ქორსაც დაღლა ეტყობა,
მიმინო ძირს ზის ჭალაში,
და თუ არ ამოისუნთქებს,
ჯერ არ ასულა არავინ.

ეს გარეთ, შიგ კი ტაძარში,
მარანის ძველი საუფლო,
ხატები აუნწერელი,
რა ლამაზი ხარ ქართულო!

რა ლამაზი ხარ ქართულო,
და წერავ ხატთა ანბანთა,
აქ კიდევ გორა შეგხვდებათ,
მას ჰქვია ქალი აყვანა.

— ბიჭს შეუყვარდა ეთერო
რძესავით თეთრი, თან მღვრიე;
გამოგყვებო ცოლადო,
თუ კუკუთალას შამისმევ,

და თან ამიყვან იმ გორას,
რომელიც არ ჩანს მთლად დიდი,
არც ერთხელ არ შეისვენებ,
არ დაგინახო დაღლილი.

ერთხელ არ ამოიკვნესებ,
არც ვნებას ვიგრძნობ შენიდან,

როცა მთის წვერზე ამიყვან,
მე იმ წამიდან შენი ვარ.

გივიას ჩაელიმილა,
რომ მოვკვდე მაინც ავალთო,
ეთერი ზურგზე შეისვა
ღმერთს ვფიცავ უღმრთო არ ხარო!

თავიდან სწრაფად წავიდა,
ნელ-ნელა დაღლა დაეცყო,
გული ბუდიდან უხტება,
ქალო ნუ შემობრალებო.

ღმერთი უყურებს ორივეს,
იცის რომ კაცი აჯობებს,
არ უნდა ქალი დამცირდეს
ღვთისმშობელს რომ ჰგავს სახეზე.

და მისულს უკვე მწვერვალზე
გზა გაუგრძელა ორმაგად,
თან დაემუქრა თითით კაცს,
გივია მიჰქარ-მოჰქარავ;

და ელის ღმერთი რომ კაცი,
ქალის ჭკუას არ აყვება,
მოუხმობს გონიერებას,
სასაცილო არ გახდება,

ღმერთი მორჩილ მზეს უბრძანებს,
კაცს გულში დაჰქარ სიცხეო,
ურჩმა ხომ უნდა უთხრას ქალს,
აუღებელო ციხეო.

ქალი კისკისებს, ნიოკობს,
კისერზე ვნებით ეხვევა,

უკოცნის ბეჭებს ილღიებს,
კაცს ამით ძალა ეძლევა.

და ორმაგი გზაც გალია,
კაცი ავიდა მწვერვალზე,
ხედავს სადღაც გზა კვლავ ადის,
ავა მეორე მოსვლამდე,

და მიდის... მიდის... კვლავ მიდის!!!
გზა გაათკეცდა... გაასდა
არც თავი უჩანს, არც ბოლო,
გულთან ხალათი ააღდა.

მზეთუნახავმა ეთერიმ,
ენა მუცელში დამალა,
ისეთი მსუბუქი გახდა,
თან იყო და თანაც არა.

განრისხდა ღმერთი ამათით,
დიდ სიბრიყვეს ვერ ამართლებს!
ბოროტი ძალობს ურჩებში,
სიგიჟით კვებავს მათ აზრებს.

კაცი არ უსმენს თვით ღმერთსაც,
ცის ჭერს ამტვრევს და ცის კედლებს,
თითქოს ხსნა მხოლოდ ქალშია,
სხვაგან კი სიცარიელე.

ამ კაცს სხვა ვნება აღარ აქვს,
და ქალსაც კაცი ადარდებს,
ქვეყნად ეს ორნი არიან,
არც მზე არის და არც მთვარე.

თავქარიან ქალს ეთეროს,
ჯადოსნური აქვს გულმკერდი,

გივიას დანა ანაპნა
დამალული აქვს უბეში.

უკანასკნელი ძალა და
კაცი ავიდა მიზანთან,
ბოლო სიტყვა თქვა დუდუნით,
ეთერი მე შენ მიყვარხარ.

იმ ადგილს ხალხმა დაარქვა,
სახელად ქალი აყვანა,
კაცმა ჩამოსვა ქალი ძირს,
და თვითონ იქვე გათავდა.

II თავი

შეურყვნელი და თვალადი,
ლმერთის წინ იყო უძღური,
დანა აიღო მფატრავი,
და გამოისვა ძუძუში.

რძე შეიცხადა უფალმა,
გული მოუღბა ნანახით,
გივიას გავაცოცხლებო,
დედა ღვთისმშობლის კალთაში.

ქალმა ისაწყლა, იძინა,
არშობილს ჰგავდა მწოლარე,
ხელახლა გაჩნდა გიორგი,
ოღონდ კვლავ ადის გორაზე.

ეთერმა ისევ შესტირა
ლმობიერთაგან ლმობიერს,
დანერათ ჯვარი უფალმა.
ყველაზე არაგონიერთ.

უფალი ეტყვის შურთხს აქიმს
რად ვერ უნამლე დედასო
შემკობილი ხარ ძვირფასად
ყველაზე ლამაზ ფერადო.

მოფრინდა ხოხობი ტურფა,
შეურცხვა კუდი ფარშევანგს,
მამალ ხოხობის ფარფატმა
(ბოლოთი მოესაყვარლა)
ქალიაყვანა დანერა.

დედოფალს დედოფალი დაამხოზ

ილიამ გააგრძელა ხატვა და ჰოი საოცრებავ, მისი სულის ყველაზე მიუღწეველი შორი წერტილი დაიჭირა – სანყალი თამარის... და დედოფლის ნახატი ხალხში გაიბნა. სამკაულებზე, ჭურჭელზე, ხალიჩებზე, ყველგან, სადაც კი კაცი მოიფიქრებდა, კედლის ნახატის ასლი გადაეხატათ. რაც უფრო ებრძოდნენ ამას მით უფრო მეტი და მეტი მოწონებული ხდებოდა ქალის ეს ლბილი, უბრალო სახეება. ილიას სახელი ყველას პირზე ეკერა. ხალხმა თავის გადამრჩენელი იპოვა „გლეხის ქალის“ ნახატით. მეფემ არ იცოდა რა ღონე ეხმარა. იგი რუს მეფეზე მეტად დაიჭრა ეჭვიანობით, უფრო და უფრო, უიმედოდ მოჩანდა მისი „შეურაცხმყოფელის“ დამარცხების იმედი, რომლისთვისაც სიკვდილიც კი ეცოტავებოდა. ხალხი ილიას სახელს აღმერთებდა. დედოფალზე კი პირჯვარს იწერდნენ. მეფეს და მთელ დიდებულებს ერთი ნაბიჯის გადადგმა არ შეეძლოთ დედოფლის დაუკითხავად. უზომო სიყვარულს, თავის შედეგი, თავისთავად მოჰქონდა. ვერც დავითი მოერია ეჭვიანობის მძიმე სულიერ ტკივილს. პირველად სიმართლის ხმალში გაისმა სიტყვა: ვინ დაამხოზს დედოფალს, მაშინ როცა ასათი წლის მოხუცი თითზე დედოფლის გამოსახულების ბეჭდით მოვიდა დარბაზობას. მეფესაც გული აემღვრა. მას შეურაცხადამდე ძულდა ილია, დედოფალს კი მის უჩუმრად, მედალიონის ქვეშ იესოს ცნობილი

ხატი ეკეთა, ამ ხატში იესოს თვალები თვალებდათხრილ ილიას აგონებდა. არც ის ავინყდებოდა, ზედმეტი ჩაძიებით თავმოებურებულმა დედოფალმა რაც უთხრა მხატვარზე, ჩვენი სიყვარული და ყველაფერი, ფარსი იყო ეგებ. ფიქრობდა და ოქროს ტაძრის ნახატსაც უბრუნდებოდა, უღრმავდებოდა და ეცნობოდა. თუ დედოფალმა თვალები დათხარა მხატვარს, როგორ დახატა უჩინოდ ისევ ის ნახატიო. გლახის ქალის ნახატში ხელწერა ემთხვეოდა, სხვა ყველაფერიც — გარეგნობა, აზროვნება და ბოლო-ბოლო ვინ დახატავდა დედოფალს ასე დიდებულებით პატივჩამორთმეულს ისეთი ქალურობით, რომ პირიქით უფრო საოცნებო გამხდარიყო, ამდენი წლის მერე. მეფეს უამბეს უტრფესი ეთერის ამბავიც. თუმცა ამ ორ საქმეში კავშირს ვერ პოულობდა, მაინც ეჭვობდა, რაღაცას მატყუებენო, რადგან გივია იგივე გიორგი სახეზე შოთას ჰგავდა, შოთაზეც ეჭვიანობდა დავითი, ეს უკვე გონიერებას ახშობდა. ისიც იცოდა, თუ არა დედოფლის ხელშეწყობა, აქამდე დაიჭერდა ილიას. ამ ყველაფერს ხვდებოდა დედოფალი და არ იცოდა რა ექნა, როგორ ებრძანებინა ყველსათვის ასე ნუ გიყვარვართო.

ვინ დაამხოვს დედოფალს, უკვე ხშირად ისმოდა სასახლეში, მალე სადედოფლოშიც გაისმა ეს ხმა.

ბარძიმის მთავარმა დემნამ მეფე მიიწვია სანადიროდ ამ დროს გაისმა კითხვა: ვინ დაამხოვს დედოფალს? მეფე უმაღლესად მიხვდა, რომ ეს მიწვევა, ისეთ დროს როცა ყველა დედოფლის მეფობაზე ლაპარაკობდა, მთავარი მონინალმდეგის მიერ, რაღაცას ნიშნავდა, უარი არ უთქვამს და დედოფლის გარეშე ნავიდა სტუმრად. თან ოციოდე კაცი იახლა. რისკი დიდი იყო. შეიძლებოდა ბარძიმის მთავარს შეთქმულება მოეწყო, მას თითქმის მეფის ტოლა სიმდიდრე ჰქონდა, არც სახელი და სხვა პატივი აკლდა თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ყველაზე დიდ მოაზროვნედ ითვლებოდა და თან მასაც კანონიერად ეკუთვნოდა. მას სურვილი მაინც უნდა ჰქონოდა ტახტის დაუფლების.

ბარძიმის მთავარი საუკეთესო ადამიანადაც ითვლებოდა, მისთვის უცხო არ იყო ქველმოქმედება და სხვა ადამიანური სიკეთეები, მით უფრო საშიში იყო ამ ორი ადამიანის გაერთიანება დედოფლის წინააღმდეგ. მეფე მზად იყო თავის

მონინალმედგეები ყველა გზითა და ხერხით მოესპო. იქიდან დაბრუნებულმა მეფემ სასახლეში ახალი სიტყვა შემოიტანა, დედოფალს დედოფალი დაამხობს, იმდენად დიდი იყო სიტყვა-თა ამ თამაშში ნამდვილ მოთამაშეთა სახეები, ერთი საქართველოს მეფე იყო, მეორე ქრისტეს სისხლის მცველი, რომ ხალხიც ვერაფერს ხდებოდა მათ წინააღმდეგ. გეგმა თავისუფალი იყო. დევნის მერე დაბრუნებულ ხელოვანებისთვის, მათ შორის იყო ილია და პოეტი. ცოტა ხანი თავი უნდა დაენებებინათ. როცა ხალხი დაინახავდა, აღარ ერჩიანო, მათ რჩენას აღარ გააგრძელებდნენ. მერე კი შიმშილით და სიღარიბით შენუხებულებს მეფე და ბარძიმის მთავარი დიდ შეკვეთას მისცემდნენ და შეუსრულებლობის გამო დასჯიდნენ — ერთს პოემა უნდა დაენერა ერთ წელში, მეორეს — ძველი სვეტიცხოვლის ტაძარი ხელმეორედ მოეხატა, რვა თვეში. დრო ძალიან ცოტა იყო. ნიჭიც არის და ნიჭიც. ვერც ერთი სულიერი ვერ შეძლებდა ასეთი დიდი ტილოების შექმნას, ასე მოკლე დროში. თითოეულს ასი კაცის საქმე ევალებოდა. ბარძიმის მთავარმა დაარწმუნა მეფე; რომ ამაზე ეს კაცები უარს არ იტყოდნენ. მეტად ჭკვიანი კაცი იყო იგი. პოეტს ერთი ლექსი კი არა, პოემა უნდა შეექმნა ურთულესი რითმით, ვეფხისტყაოსანზე უკეთესი.

მართლაც, ისე მოხდა, როგორც იყო ჩაფიქრებული. ორივე ხელოვანმა სიტყვის ოსტატმა და მხატვარმა უსიტყვოდ მიიღო გამონკვევა. მათ უნდა შეექმნათ ნამდვილი დედოფლის ხატი, სადედოფლო გვირგვინი და სამეფო დიდი სიმბოლოები უმცირესი მნიშვნელობითაც კი დაცული და აღდგენილი უნდა ყოფილიყო. ეს უნდა ყოფილიყო დედოფალი და მარტო დედოფალი, სხვა შინაარსი მათ ნაწარმოებს არ უნდა ჰქონოდა. გინდა გლეხისთვის და გინდა აზნაურისთვის. იმათთვისაც გასაგები უნდა ყოფილიყო ქვეყნის დედოფლის ხატი, ვინც ქართულ ენას და კულტურას არ იყო ნაზიარები. დედოფლის გვერდით უნდა ყოფილიყო მეფეც იგივე პირობებით. ორივე შემოქმედი ერთ დროს მორჩა საქმეს. გასული იყო შვიდი თვე და ოცდახუთი დღე. დიდზე დიდი იყო შემოქმედების ნიჭი, მაგრამ სწორედ დიდს და საუკეთესოს ებრძვის ეშმაკი. პირველად ტაძარი ინახულეს მთელმა სამეფო დიდებულებმა. ტაძრის კარის გაღებასთან ერ-

თად უზარმაზარმა შუქმა გააბრწყინა საღებავის სუნით გაჟღენთილი კედლები. ის სუნიც კეთილ სურნელებას გამოსცემდა. გაოცდნენ მთელი ქვეყნის პირველი კაცები. მათ წინაშე ბიბლიური სასწაული გადაიშალა. მხატვრის ხელს გაერღვია საუკუნეების მსვლელობაში, თავზე ძალად შემოხვეული სხვადასხვა სახელმწიფოს მიერ ჩამოყალიბებული სახეების, ფორმებისა და შინაარსის ყველგასული, დოგმა და აღმოეჩინა სხვა სიცოცხლე, ის რაც არის ღმერთი. უხრწნელი და უკვდავი. როცა პირველმა გაოგნებამ გაიარა, დაიწყეს თითოეული ნახატის შეფასება, მისი ფერადოვნების, სახეების სიმთელის, შინაარსის არსის ჩანვდომის ძიება. ვერავითარმა ვერაგობამ ვერ დასცა მოხატული ტაძრის ფასი. ბოლოში, სადაც სიბნელიდან ჩურჩულით ნათქვამი მეხის გავარდნასავით გაისმა: დედოფალი არ არის. გაბრწყინებული სახეები ნელ-ნელა მოილუშა. მართლაცდა სად იყო დედოფალი. სადღაც მიმაღულიყო კუთხეში, ხალხის მასის სიღრმიდან ანგელოზი იყურებოდა. ერთი თვალი ქალის ჰქონდა, მეორე მხატვრის. კარგად ჩაფიქრებულიყო, როგორ ეჯობნა ღმერთისთვის. წინ კი იესოს ჯვარზე გაკრული სხეულიდან სისხლის წვეთებს ხალხსა და იესოს შორის, ტბა შეექმნა. ტბა ჩვილს გავდა. იქვე მითხაპნული ბრბო ბავშვს ავად აკვირდებოდა. არავინ არ იყო ნაცნობი ადამიანი, ვერავინ გეტყოდათ ვინ ვინ იყო. სახე კი ანგელოზის თუ ეშმაკის სახე, რომელიც რალაცით კაცსაც კი წააგავდა, აშკარად დედოფლის ნაკვთებიდან შექმნილიყო. დედოფალს ეწყინა, მით უფრო რომ საქმე თვალებს შეეხებოდა. ვინ იცოდა მის გარდა როგორ უთრთოდა გული, რომ გულწასული რალაც სასწაულით იდგა ფეხზე. ვინ იცოდა მის გარდა, რამდენჯერ კოშმარები სტანჯავდა, ლამეები არ ეძინა და მხატვრის თვალები დასდევდა უკან ლანდივით.

დედოფალი მეფე ყოფილა, გაიცინა ბარძიმის მთავარმა და მთელი დიდებულები აიყოლია. შესანიშნავია! შესანიშნავი უმაღალმონხდა იქ მყოფ პატარა ადამიანების გუნდს. დედოფალს უმაღლ შეეჭრა გრძელი უმსხვილესი ნაწნავები და კაცის ხმლით ხელში წარსდგა მათ წინაშე. ეს ქალი არ იყო. ეს იყო კაცი, კაცი, რომელიც თვალებს თხრის მხატვარს, იმისთვის, რომ უყვარს, კაცი, რომელსაც ძარღვი არ გასტოკებია ადამიანების წამება-

ზე, როცა ომგამოვლილი კაცები, ნალკოტიდან შელონებულები გამოიყვანეს.

მეფე მიხვდა თავის შეცდომას, მაგრამ ძალიან გვიან. მხატვარი აღიარებული, მისი უნაზესი დედოფალი კი ახლა ნამდვილად იყო შეურაცხყოფილი. უკვე სხვანაირად დაინახა მეფემ ყველაფერი. მხატვარს არ ყვარებიაო ჩემი ცოლი ქალივით. დედოფალს სახე გაუთეთრდა. თითქოს თაბაშირისგან გაკეთებულს დაემსგავსა. მთელი მისი არსება უზარმაზარ გულისწყრომას მოეცვა. უნდოდა ეყვირა ეს მე არა ვარო, მაგრამ იმ დროს გაისმა კიდეც, გაუმარჯოს მეფე თამარს. ადრე თუ ასეთ მოხსენებას დიდი სიამოვნებითა და სიამაყით ისმენდა. ახლა სიკვდილი მოუნდა. მხატვარმა შეხედა თამარს, იგრძნო მისი წყალობით იყო ცოცხალი, ის უჩინარი ხელი, რომელიც მუდამ ხელს უწყობდა თვით მეფეთ-მეფე თამარი ყოფილა და ტყუილად აბრალებდა გულცივობას, ბოლო დროს დიდი სიღარიბის გამო, რომ ჩაინერგა გულში. ბარძიმის მთავრის სახეც მყისვე გამოარჩია თვალებში. ეს არის ქალის პირველი მტერიო.

დიდხანს უყურებდა თამარი მხატვარს, უკვირდა ის ყმანვილი ბიჭი ასეთ სასურველ კაცად როგორ იქცაო. ან როგორ ეტევაო ამ დიდებულ სახეში ასეთი დაფარული დიდი სიავეო. დედოფალი თავს გაძარცვულად გრძნობდა. მისი ნახატი ალელგებულმა ბოლომდე მიუშვა მხატვარი და აი, შედეგიც. მონასავით გაყიდეს, მაგრამ მასში ფული კი არ გადაიხადეს, არამედ საკუთარი თვალი. (მით უფრო ტკიოდა გული დედოფალს, რომ გრძნობდა სადღაც მართალი იყო მხატვარი. იგი ხომ იესოს სურათს მას ამსგავსებდა, გულზე რომ ეკიდა. თუმცა ეს არ იყო სიყვარული, მაგრამ მაინც სარეცლის ლალატს ჰგავდა. აი, როგორ ვუყვარვარ მეო (ყველას სურს სიყვარულს იმკიდეს, თუ თავთავი სუფთაა და სალი, კარგი პური ცხვება. მაგრამ არსებობს პური სიცოცხლისა, რომელსაც ჩვენი ხელით, ჩვენი უნიჭობით ვკლავთ. ეს ის სიცოცხლეა იესო სისხლის წვეთებით რომ აცოცხლებს მიძინებულ ჩვილს, როგორც დაბადებიდან ცოდვილს).

მაგრამ ქალებო თამარივით, სულიერ სიმახინჯეს თქვენც დიდხანს, ძალიან დიდხანს ეძებთ ხოლმე თავში?

მოულოდნელად მოძღვართუხუცესმა ნიკომ ოქროს ქალაქზე დაიწყო ლაპარაკი.

ეს ის მარადიული ქვეყანაა, სადაც მდინარეების მაგივრად რძე მოდისო, სადაც ღმერთთან შეხება შეგიძლიათო.

ყველა გოცდა, არავინ უწყდა, გამოსავლის ასე იოლად მოძებნა თუ შეიძლებოდა. დედოფლის ერთმა ნახატმა გახსნა მეორე ნახატი. ხელში აიყვანა და მოეფერა. მერე კი ერთ მთლიანობად იქცა და შეისისხლხორცა.

უდიდესი მხატვარი ხარო, შეაქო მოძღვართუხუცესმა ილია. დიდი მხატვარია, ალიარა მეფემაც. დედოფალს სიტყვა არ დაუძრავს. მიჩვეულები იყვნენ მის ხშირ მღუმარებას. ამიტომაც დაუფარავად დაუნყეს კაცს შექება. მთავარი გამტყრებული იყო. მისმა კარგად დამუშავებულმა გეგმამ მის სიცოცხლეში პირველად ვერ გაჭრა. დედოფალი დედოფალმა ვერ დაამხო. ძალიან მკაცრი ყოფილა დედოფალი საკუთარი თავის მიმართ. ჩემზე მკაცრიც კიო, ფიქრობდა ბრაზით დიდი ხანია, მთავარს ეჭვი ეპარებოდა თავის სიმართლეში, მაგრამ არ უნდოდა ქალის სიდიდე ეცნო.

მალე შოთა რუსთაველის მეორე პოემა „ლომი დავითი“ უნდა წაეკითხათ (რომელიც, საუბედუროდ, დაიკარგა ავი ჟამისგან) იქვე აპირებდნენ ამას.

უეცრად ფეხქვეშ მიწა შეერყათ. წამით გაჩერდა მიწის რყევა და უფრო დიდი რწევა დაიწყო ტაძრის. ერთი უშველებელი ატყდა. ყველა ტაძრის კარს მიანყდა. უფრო დიდმა მიწისძვრამ კედლები დახეთქა. ის კედელი, სადაც თამარი იდგა საპირისპირო მხარეს მოწყდა და ქვეშ ორი კაცი მოიყოლა. ტაძრიდან ბევრი გამოვიდა. მხატვარი მიწაზე იყო დაცემული, თვალები დაეხუჭა, ბუნებისგან დაჩაგრული ვერ უყურებდა მისი ქმნილების ესე ერთ წუთში დანგრევას. ზოგი ისევ გარბოდა, ზოგი კი ბედს მინებებული უყურებდა ერთმანეთის მიყოლებით როგორ იშლებოდა მიტევების ტაძრის სვეტები. მიწისძვრა გაჩერდა. დიდი ბული იდგა. იქ მოყოლილ ადამიანებს ვერაფერი ვერ უშველიდათ, საძირკვლამდე გასწორდა ტაძარი მიწასთან. ერთი მღვდელი ტაძრის გალავნის ქვეშ მოყოლილიყო და მთელი ხმით გაჰყვიროდა. შიში აყვირებდა, რადგან არაფერი დაშავებოდა რაღაც სასწაულით.

თამარი, მეფე და მოძღვართუხუცესი ეძებდნენ ბარძიმის მხატვარს. იგი ტაძარში დარჩენილიყო, თითქმის ძალით გამო-
აგდო წინ დედოფალი ბარძიმის მთავარმა, როცა დაინახა, რომ
დედოფალი ყველას გზას უთმობდა, თვითონ კი ტაძარში დარჩა.
დარჩა და ჩაიკეტა, ხალხის ნაკადმა მხატვარიც ძალით გამოდევნა
ტაძრიდან, ბარძიმის მთავარი კუთხეში იწვა დედოფლის ნახა-
ტის ქვეშ.

ბოლო წუთს ეტყობა იფიქრა გარეთ გასვლას ვერ მოვას-
წრებ, მაგრამ აქ იქნებ გადავრჩეო. საოცარი იყო. მართლაც არ
ჩაქოლილიყო. კუთხის კედელი სამკუთხედივით მონგრეულიყო.
სამ დღეში ამოიყვანეს კაცი მათლად საღ-სალამათი, რომელ-
საც სახურავივით ეხურა კედლის ნანგრევი. გული უსკდებოდა
ან ახლა ჩამოინგრევა ჩემი თავშესაფარი ან ახლავ. ბუნების
მრისხანე ნებით კაცის ნაცოდვილარი საუფლო საკურთხეველს
გავდა. ამ მაგიდიდან ზედ მავალი კაცების ხმაური ესმოდა. თი-
თოეულ გადაძახილზე კბილები უკანკანებდა, ვაითუ ბევრი ადა-
მიანი შედგეს და ცოცხლად დავიმარხოო. სამი დღე და ღამე
ლოცულობდა, თან დედოფლის სახეს აკვირდებოდა, რომელიც
ისე დაეხატა გენიოსს, რომ სიბნელეშიც ჩანდა. თვალს არიდებ-
და თამარის ხატს და უზარმაზარ სინანულს განიცდიდა, რომ
პატივმოყვარეობამ გონების აზრი აუმღვრია.

მინისძვრა საქართველოს სხვადასხვა ადგილას ერთდროუ-
ლად მოხდა.

ვარძიაც მინასთან იყო გასწორებული. ქალაქის გალავნის
კედლები მორღვეულიყო, სახლები დანგრეულიყო. მხოლოდ
კლდეში ნაკვეთი სახლები და ტაძრები გადარჩენილიყო. დიდი
იყო მსხვერპლი. გარშემო მჭიდროდ დასახლებული სოფლებიც
ვერ გადარჩენოდა დიდ მინისძვრას. ისმოდა გლოვა და ღალადი.
თითქოს ბოლო ჟამი დამდგარიყო.

გადარჩენილიყო ილიასი და ნიკოლოზის მიერ დახატული
ფრესკა-ხატებიც მთავარ ტაძარში, სამეფო ოჯახის.

თამარს ოვსი მეუღლე ასე ეფერებოდა ტაძრის დაქცევის
მერე, მგლოვიარეს: ჩემო თამო თამილაო, თათოო, თეკლაო და
სხვა მოსაფერებლებს, ამაზე უფრო უჩუყდებოდა გული ქალს
და თავის სისუსტეს გაურბოდა.

ტყის ენა V ლაზათიანი ბალანუნება

დედოფალმა ოჯახის წევრები უკვე მერამდენედ გაფრთხილების გარეშე მიატოვა. ერთი კვირა მეცხვარეებთან იყო, მათი ჯამიდან ჭამდა. ღვინოს მათსავით დოქიდან სვამდა და მათთან ერთად გაუხდელს ეძინა ნაბადზე. მერე შუალამისას ისინიც გაფრთხილების გარეშე დატოვა. ფარიდან, ასევე უჩუმრად, თურმე ძალღი აედევნა.

ასეთი იყო თამარის ბედი. ყველა მის კვალს მიყვებოდა, ყველა და ყველაფერი მას უთვალთვალეზდა. უღრანში სადაო საზღვარზე, ქალმა დაინახა მუსულმანი, ხმლით ხელში, თვითონ ვერ მოასწრებდა იარაღის ამოღებას. შეუტია თათარმა, ქალი ცხენიდან გადმოაგდო. დედოფალს უბრალოდ ეცვა. კაცს მოენონა ულამაზესი ქალი, წელზე ხელი მოხვია და კოცნა დაუპირა. ხელი მძიმე სარტყელზე მოხვდა. ეცადა წაერთმია, დაინახა რომ სარტყელი ძვირფასი იყო, ამ ქალის ქცევა არ გავდა უბრალო ქალის საქციელს. არც თვითონ იყო ოქროზე დახარბებული. თავის ქვეყანაში პირველი იყო, მაგრამ ამ დედოფალს ტყიდან ასე ადვილად არ გამოუშვებდა. ქალი წივილს არ კადრულობდა. ღონეც ჰქონდა, ერთი-ორჯერ კაი ლაზათიანი გადაულანუნა სახეში. კაცმა ხელი არ შეუბრუნა, ჯერ სარტყელი აართვა, მერე ცხენი მოუკლა, დედოფლის საყვარელი ცხენი. დედოფალი საშინლად გაბრაზდა, საიდანღაც ალესილი ხანჯალი დააძრო. სისულელე იყო მოკლე ხანჯლით ჭიდილი გრძელ ხმალთან, მაგრამ ამ ქალის ხელში არა. ლამის აჯობა თავის ქვეყანაში პირველ მეომარს, რომ საიდანღაც მეცხვარის კავკასიური ნაგაზი გამოვარდა და კაცს დააცხრა. კაცი ძალღს მიუტრიალდა. ძლივს მოიშორა თავიდან. ეტყობოდა დაჭრა, რადგან გარშემო სისხლის კვალი დარჩენილიყო, რომ მოიხედა ქალი იქ აღარ იყო. ერთ ხანს ძალღის კვალს მისდია, ბოლოს კი შეჯდა თავის ცხენზე და თურქეთისკენ გაეშურა. ხელში სარტყელი ეჭირა. სულ იმ ქალზე ფიქრობდა. ბოლოს ბაზარში სურათი ნახა დოქზე, რომელიც ვიღაც გურჯს ჩუმად გამოეთანა გასაყიდად. ეცნო ქალი. ვინ არისო კითხა გამყიდველს, ჩვენი დედოფალიაო,

უპასუხა ქართველმა. ეს იყო ილიას ცნობილი ნახატი. შეიძინა დოქი და დედოფლის ხსოვნას, უძილო ვნებანი ღამეების სიყვარული უწოდა.

შუალამისას ლოგინში კაცს ვილაც დაესხა თავს. ცოფიანივით იბრძოდა ის ვილაც. ბოლო სიტყვები კარგად გაიგო — ეს ჩემი დედოფლის შეურაცხყოფისთვისო და სახეზე ნახმლევი დაუტოვა. ყვირილი მორთო, მაგრამ კაცმა თუ აღქაჯმა ისე დატოვა მისი მიუვალი სახლი, სისხლის კვალიც კი არ დაუტოვა. სარტყელიც გაქრა. იმ დღეს გადანყვიტა მოძალადემ რომ დედოფალი დავითისთვის წაერთმია და ცოლად მოეყვანა. მან წერილი მისწერა თამარს, სადაც თავის ჟინმორეულ, გაგიჟებულ სიყვარულს მეტად თამამი და პირდაპირი სიტყვებით აღწერდა. ელჩმა ზეპირადაც მოახსენა დარბაზში მსხდომთ: „უკეთუ მეფემან თქუენმა დაუტეოს სჯული, იპყრას სულტანმან ცოლად და უკეთუ არა დაუტეოს სჯული, იყოს ხარჭად სულტანისა“.

ამის გაგონებაზე წამოვარდა ზეზე ზაქარია მხარგრძელი და თავისი, კავკასიონივით დაძარღვული ხელი „უხეთქა ხელითა პირსა“. ელჩი მკვდარივით დაეცა ძირს.

ბასიანის სისხლის ღვრა ხმალოზა მოძალადესთან

ჰოდა, რუკნადინი, რომელიც თავს თვლიდა ყოველი მაჰმადიანის მფარველად, თურქ-სელჩუკთა გაერთიანებულ ლაშქრობას ჩაუდგა სათავეში და საქართველოზე გამოილაშქრა. მაშინ საქართველოს ასამდე ბრძოლა ჰქონდა გადატანილი თამარის მეფობის დროს და არც ერთი არ ჰქონდა წაგებული თუ არ ჩავთვლით ერთი-ორ დროებით უკანდახევას. საქართველოს ორი იმხელა იყო ვიდრე ეხლა. ჩვეულებრივი გლეხი აზნაურის ტოლ ქონებას ფლობდა, ამიტომ ქართული კულტურაც მთელ მსოფლიოში პირველ ადგილზე იყო. საქართველო შეჭრილიყო სამხრეთითაც ღრმად. დაიწყო ბასიანის დიდი ბრძოლა.

მეტად შეურაცხყოფილმა თამარმა გადანყვიტა ჭკუა ესწავლებინა მომხდურისთვის. სიტყვით მიმართა ჯვარს, რათა

მამაცურად ეომათ. ფეხშიშველამ მოილოცა ვარძია, შემდეგ კი ომში ისევ ქმრის უჩუმრად ჩაერთო. მას კაბა არ გაუხდია, რომ რუქნადინს შეემჩნია. მართლაც ისინი შეხვდნენ ბრძოლის ველზე. ორივე შეუბრალებლად, სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეიბნენ. კაცს ქალის მთლიანი ძალის, აზროვნების, მოქნილობის და სიმშვენიერის გაგება სურდა, არავინ იცის რით დამთავრდებოდა მათი ხმალაობა, რომ ეზინკელი ამირა არ ჩარეულიყო მათ ბრძოლაში. რუქნადინმა თავი დამცირებულად იგრძნო, რომ ქალთან ხმალაობისას მიხმარება დასჭირდა. ქალის, ახლა უფრო ენით აუწერელი ჯადოსნური სილამაზის ტყვემ, მიაბრუნა ცხენი და უკან გაქუსლა. თამარის გამარჯვების მიზეზი მარტო მისი ხმლის ფლობა კი არა რუქნადინის ჭკვადამკარგავი სიყვარული იყო. იგი ქალთან ბრძოლის დროს მამაკაცურ სიდიადეს აყვა და ტკბობა განიცადა. თამარმა ამირა ტყვედ აიყვანა და რომ შეერცხვინა ჯორის ნალში გაცვალა. ეს იყო მისი ბოლო სვლა და ერთგვარი შაჰი მტერთან.

ამდენი შემოსევებით განრისხებულმა თამარ მეფემ და დავით სოსლანმა აიღეს და დაიბრუნეს თავისი მიწის დიდი ნაწილი: „ლაზია, ტრაპიზონი, ლიმონი, სამსონი, სინოპი, კერასუნდი, კიტორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლადონისა და პონტოსანი“. ამ ქვეყნებისგან ჩმოაყალიბეს ახალი სახელმწიფო „ტრაპიზონი“, რომელთა დახმარებითაც შემდგომი სამხედრო ოპერაციები განახორციელეს. ტრაპიზონის მეფედ დანიშნეს ბაგრატიონების ახლობელი ალექსი კომნენოსი, რომელიც იყო ბაგრატიონთა ახლო ნათესავი. ომები გაგრძელდა. იოანე და შალვა ახალციხელები სასწაულებს ახდენდნენ ბრძოლის ველზე. ზაქარია მხარგრძელი და დავითი ედგნენ სათავეში შემდგომ ბრძოლებსაც. დავით სოსლანი თავისი უზარმაზარი აღნაგობით შიშის ზარს სცემდა მოწინააღმდეგეს. ბრძოლაში შალვას და ივანეს ცხენები დაუხოცეს, მათ ქვეითად გააგრძელეს ბრძოლა.

დავითმა მარცხენა ფრთა თვითონ ჩაიბარა, მარცხენა ზაქარია მხარგრძელს ჩააბარა. ცხენოსანთა რაზმები გვერდებიდან უტევდნენ მტერს. ბრძოლის ხერხის ასეთმა განჭვრეტამ გაამართლა და გაამარჯვებინათ ქართველებს.

ბრძოლებში მოპოვებული განძი, როგორც ყველა სხვა ლაშქრობის ალაფი, თამარმა სულიერი კულტურის აღორძინებას მოახმარა და მსოფლიოს სამსახურში ჩააყენა. თამარმა ააღორძინა, ოქრომჭედლობა, ხუროთმოძღვრება, ვარსკვლავთმრიცხველობა, სულიერება, მნიგნობრობა, ღვთისცნობა და კიდევ უამრავი. გაჭრეს არხები, მოაშენეს უნიკალური ჯიშის ცხენები და საქონელი.

კიდევ უფრო განვითარდა მებაბრეშუმეობა, ქველმოქმედებამ ახალ ნიშნულს მიაღწია. განაახლეს ნავების აგებაც, რათა ზღვებიც უფრო დიდი მასშტაბით ჩაერთოთ ალებ-მიცემობის საქმეში. ცალკე აღორძინდა პურადობა და მეთონეობა, ცხვებოდა უგემრიელესი პური, მზადდებოდა საუცხოო კერძები, უცხოელები ვერ მალავდნენ აღტაცებას, როცა ასეთ სურნელოვან პურს იგემებდნენ. აქ ხომ უიშვიათესი ჯიშის ხორბალი მოდიოდა, მაგრამ ვაი რომ... ზღვით გატანილმა უგემრიელესი პურით დატვირთულმა გემებმა და ქართულმა სტუმართმოყვარე ლხენამ მტერს გზა ვერ ჩაუკეტა საქართველოსკენ.

რატომ კვნესის პური ჩვენი არსობისა (ძალის პური)

ვენახში წავიდა მზეჭრილა,
სოფელში ყველაზე ლამაზი,
ხელში უკავია პატარა,
უკან კი მიყვება მათ ძალღი.
მზეჭრილა თეძოებს არხევდა,
მაჰმადი ეტრფოდა უშვერად,
გვირილის თვალეებში ქსელს წნავდა,
და კაცებს უკან არ უშვებდა.
მისი სილამაზის ტყვეები,
ელოდნენ ყოველდღე მის გავლას,
ერთხელაც განრისხდა მზეჭრილა,
რუსთან იაკობი არ დახვდა.
კოკა მიახალა დიდ ლოდსა,
ვერ ნახა ვერც ერთი საყრდენი,

ვერ დაიმორჩილა სანყალმა,
ღვინოს და ხორბალის მარცვლები.
ჩუმად დაიმალა ვენახში,
დანვა, დააძინა ბაიაც,
შალაფში ჩანვა და უაზრომ,
ვერც კი გაიხსენა ნანინა.
და ხედავს სიზმარში მზეჭრილა
მასზე ლამაზ ქალებს ამოს,
მათ ფეხქვეშ ყოველი მცირეა,
მზეცა და მთლიანად სამყაროც,
და გული უტირით ჩვილივით,
თმები აქვთ ჩანჩქერის დაცემა,
აღუას სული აქვთ უხრწნელი,
ბნელია მზე იმათ თვალებთან,
და მთლად დედამინა მოკვდება,
თუ გაუჩერდებათ მათ გული
ლაზარე იციან წყალივით,
ისინი უბნობენ ქართულით.
თავისი საქმე ქნა საქნელი,
ვაიმე ჩალისფერ ყანაში,
აღუამ, მირონით იბანს თავს,
ქალი, და ბავშვსა წმენდს ლავაშით.
ასტიკვდა ღმერთს მთელი სხეული,
ღრუბლები გან-განზე გაყარა,
შეხედა ცოდვაში გახვეულ,
ყველაზე უტყუარ ლამაზსა.
სახე მოექუშა, აიმღვრა,
რა ქენი ბრიყვო და თავხედო,
დღეიდან ლუკმას არ გაღირსებ,
და საზრდოც მსურს გაგინახევრო;
ჭკუამხიარულად სახავდა,
ქალი უფლის მძიმე განაჩენს,
კაცებმა დაფარეს ეს ქალი,
ღმერთს სცოდეს და ქალი დამალეს.
მზეჭრილა ქალებთან გაბრიყვდა,
გულები დალენა ლაქლაქამ

პატარას მოშივდა და დედა,
დიდი დარდისაგან გაქვავდა.
და არ შეუძლია ერთ კაცსაც,
ზიდოს ღვთისმშობელის ნალველი,
უფლის სახე შეცბა ნანახით,
ალარ აქვს სიტყვა და სათქმელი.
ბოროტებს უკვე აქვს საბაბი,
მხეცურად ჩაქოლონ სიტურფე,
უფალი დედას რძეს უბრუნებს,
სამ მნკრეზე ვარსკვლავებს იუქმებს.
ამ დროს კი მგელძაღვას ყეფისგან,
ხმა ჩაეხლიჩა და გაცოფდა,
კრიჭაში ჩაუდგა იმ ძაღლებს,
რომ სურდათ მზეჭრილას ჩაქოლვა.
შხამა შეინყალა უფალმა,
პურის გადაუგდო ნატეხი,
და ქალსაც აჩუქა (მიუგდო) სიცოცხლე,
მე გავაჩინეო ასეთი.

თამარი ძალიან ბევრს მარხულობდა, ყოველი ახალი ბრძოლა მისთვის აუნერგელი ტანჯვის მომტანი იყო. მისი შვილები — გიორგი და რუსუდანი ცდილობდნენ ხელი აეღებინათ დიდი ზომით გახანგრძლივებული მარხვაზე, მაგრამ ვერაფერს ვერ ხდებოდნენ. დავითი უკვე აღარაფერს უშლიდა, მას კარგად შეეხსნავლა თამარის ხასიათი, იცოდა თუ თამარს განწმენდა სურდა, იგი იმ დოზით შეძლებდა ამას, რასაც, მხოლოდ განსაკუთრებულად მირონცხებულ სსულიერო პირები აღწევდნენ. თამარს სურდა ღმერთს თავისი ქვეყნისთვის პური ჩვენი არსობისა დაებრუნებინა. ერთხელაც, დავითმა ველარ მოითმინა და ლოცვა შეანყვეტინა თამარს. დაიჭირა მისი ულამაზესი, გამხდარი გრძელი თითები და დაიწყო ტირილი ღვთისა და თამარის წინაშე.

მე ხელში მიჭირავს უფალი
შავისა თუთისა შოლტები.
სისხლი გვტკივა დიდი ომისგან
ვით პური ყვედრებით გვმორდები

ამ დროს ეზოდან გაისმა დოიას სიმღერა (იგი პალატის მომღერალი არ იყო) გაოცდნენ თამარი და დავითი. არასდროს არ მოესმინათ ასეთი უმშვენიერესი ხმა და ნამღერი, მიხვდნენ, რომ ღმერთმა მათი თხოვნა შეისმინა. ეს ქალი შამქორის ბრძოლიდან სახლში აღარ დაბრუნდა. სხვათაგან განსხვავებით მისი ერთადერთი შეცდომა ტყუილი ლაპარაკი იყო.

ყაყაჩოსი

საყვარელმა პირზე მკოცნა
მითხრა რომ ვარ ყაყაჩო,
მოიმწყვდია ერთ მუჭაში,
ლერწმის წელი საწყაო.
გამიტაცა ყანის ზევით,
ჩემთან მზე ჩანს მინადა,
დაცემული გველი მიმზერს,
და ძის ჯვარცმა ინანა.
და უფალმაც აღიარა,
რომ დედაა ბუნება,
მერე ლარ დამიფარა,
მე ქალურმა უბემაც,
წამოვიდა ქვედა ტანზე,
ხორბლის ოქროს წვეთები,
მიყვარხარო, დაგლუპავო,
და იქაც შეგეყრები,
და გულწასულს, ყელ აღერილს,
ცაც ლავინთან დამაკვდა,
მე კი ისევ ვჩურჩულებდი,
საყვარელო, რადა მკლავ?
საძაგელმა ამიკალმა,
ტირიფული ვარდები,
ოქროპირო
ნუ მხდი პერანგს,
წყალში გადავვარდები,

ამომწურავს ციგნის კაბას,
ლოთიანი მეთევზე,
და მიწაც კი არ მიმიღებს
გულამოთხრილს ბნელეთზე.

თამარი მიხვდა, რომ ბევრი ადამიანი იმას მიიწერდა რაც არასოდეს არ ჩაუდენია და ნაიქცა. ამდენი ომი, ამდენი უდანაშაულო ადამიანის სიკვდილი, სასტიკი მსჯავრი, უთანასწორობა დიდგვაროვნებს, და დიდ ადამიანებს შორის, შეურაცხყოფის და დიდი ხელოვნების აღრევა ერთმანეთში და უძლურობა რომ ეს და სხვა სატიკივარი არ შეეძლო მოერჩინა ქვეყნისთვის; დაჭრილ მტრისა და თავისიანის გოდება (ხშირად დიდი სისასტიკე მეომრებისა და დამნაშავეთა მიმართ), რასაც ქვეყნის უსაფრთხოება მოითხოვდა, მარტოს არ ტოვებდა თავის ნაღველთან, სულ ყურში ჩაესმოდა, უკან დასდევდა და თვალწინ ედგა. მისმა ქალურმა გულმა ვერ გაუძლო მუდმივი სიბრალულოთ ცხოვრებას, იგი მტრედევით მშვიდად მიიცვალა. შესწივლა ილიამ ღმერთს: რატომ წამართვიო მესიის გვირგვინი.

თამარის საფლავი

გავბედე დედოფალს შევებე,
ჩუქურთმას კვეთავს მტევანი,
ჩააცვეს სტიქარი და ჯაჭვი,
მე მაინც დავხატე ქალი.

შეძრწუნდნენ რას გავსო ტაძარი,
დამთხარეს ორთავე თვალი,
მე ენა გავცვალე ინაში,
და ბრმამაც დავხატე ქალი.

შიშველი, საოცრად ლამაზი,
ვნება დავუნვინე ლელვას,
მერე დაკარგული გონება,
მერე შერკინება ღმერთთან.

უდაბნოს მარხვაშიც გავყევი,
თან დამდევს ოსტატის ქნარი,
გადავრჩი და შეჩვენებულმა,
დავხატე შიშველი ქალი.

წყრომით შემომტირა — მრცხვენია,
ველარ ვიომებო ამ გზით,
ო, ისე ქალურად ჯავრობდა,
მოვასხი ღვთისმშობლის კვართი! (შიშველი დავხატე ხატი)

მუცელთან გაეხსნა ომები
უფრო დაუძღურდა მარხვით,
ანდერძი შევცვალე მე გიჟმა
მოვკალი სახება (მსგავსება) ათი.

სხვადასხვა მხარეში წავიღეთ
ერთიანი ქვეყნის დედა
ყველა ქალი მოკვდა ღვთის რწმენით (ნებით)
და არ თქვა უარი ერთმაც.
თოფები ჩაუნყვეს კუბოს ქვეშ
ზემოდან თამარი ჩანდა
გამაგრდა მთები და საზღვრები
ქვეყნის ხსნა იტვირთა მკვდარმაც.

ნამდვილს კი, ღვთისმშობლის ქვეყანავ,
კუბოშიც ჩავუდეთ ხმალი,
მე მაინც ვარდებში გავაბი,
მე მაინც დავხატე ქალი
და რომ არ გამეცა სად იწვა
მესიის მზეთუნახავი.
ერთმანეთს გავუპეთ გულები
მე, გურჯამ, ვეფხომ და ჯარჯიმ

ერთმანეთს გავუპეთ გულები,
საფლავზე აღდგა ღვთის ჯვარი.

ეპილოგი

საქართველოს უღელი

მე რომ საქართველო მიყვარს,
ისე არვის არ უყვარს,
აქ რომ ქალი შემოგხედავს,
ისე არვის არ უჩანს.

ჩემი ქმარი ხელით ახრჩობს,
ხარებსა და კამეჩებს,
ბეჭზე დასცა ყველა ხურო
ათამაშებს საჭრეთელს.

საქართველო ცოცხალია,
კვნესის მისი ნახმლევი,
თავთავია, ღვინო არის
თუ აკოცო დათვრები.

ვაზი არის, მარანია,
რქანითელის მირონი
ქალი არის მიწა, ქვევრი,
შეცხადება ღვთისმშობლის.

მე რომ მიყვარს საქართველო
ისე არვის არ უყვარს
მე რომ ლექსის ნახმლევი მკლავს
ისე არვის არ უჩანს.

სარჩევნი

| | |
|---|----|
| ილიას ხელობა პროლოგი | 5 |
| ფრესკის გენიალობა თუ... სიმრუმე | 12 |
| ლუკა ვარ ანაგელიო | 14 |
| მეფე და იესოს ქალაქი | 16 |
| სიკვდილით დასჯის გაუქმება | 18 |
| იცოდა რუსი არ დაინდობდა | 18 |
| ქრისტესისხლა | 20 |
| ილიას სიკვდილი | 24 |
| ქალების ომი (ჭრელკაბიანები) | 26 |
| ჭიდაობა ეშმაკთან | 29 |
| მოსეს ღვინომ ქნა | 33 |
| მზექეთო და მწყემსი | 36 |
| აიღე დანა, მომკალი | 36 |
| ილიას ტირილი | 38 |
| დედისა მტირალი | 41 |
| ვეფხვის გუთნისდედა | 42 |
| ტყის ენა I ორფეხება | 47 |
| ტყის ენა II ძუ მგელი მგელძალღას ეგლასუნებოდა | 51 |
| ტყის ენა III ლომის გული | 53 |
| ტყის ენა IV ამირანის მინა | 55 |
| ხათუნ ხატულები | 56 |
| ღმერთის დაყვავება თავისუფალ ამირანთან | 56 |
| ამირანი და წმინდა ყამარი | 57 |
| ქალიაყვანა | 59 |
| დედოფალს დედოფალი დაამხოზს | 63 |
| ტყის ენა V ლაზათიანი გალანუნება | 70 |
| ბასიანის სისხლის ღვრა | 71 |
| ხმალაობა მოძალადესთან | 71 |
| რატომ კვნესის პური ჩვენი არსობისა (ძალღის პური) | 73 |
| ყაყაჩოსი | 76 |
| თამარის საფლავი | 77 |
| ეპილოგი საქართველოს უღელი | 79 |





9789941821257



9 789941 821257